140
1966/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

6
1966



# საქართველო ახალ ხუთწლედში



ბავშვებო, როგორც ყველა თქვენგანმა იცის, 29 მარტიდან 9 აპრილამდე მოსკოვში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა განვლილი შვიდწლედის შედეგები და განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო დიდ ზრდას, იგი უდიდეს პერსპექტივებს სახავს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

მაგრამ, როგორია ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც უნდა განახორციელონ საქართველოს მშრომელებმა ახალ ხუთწლედში?

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთი ტემპი, რაც უზრუნველჰყოფს ბუნებრივ სიმდიდრეთა უფრო სრულ გამოყენებას და ეროვნული შემოსავლის გადიდებას.

ჩვენს დიდ შესაძლებლობათა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები. ჯერ კიდევ 1921 წელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კავკასიელი კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვეს და მოითხოვდა, რომ ყოველი ღონისძიებით გამოგვეყენებინა თეთრი ნახშირის რესურსები.

საქართველოს მდინარეები — ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, რიონი, მტკვარი, ლიახვი, ალაზანი და სხვები განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიან დიდად ეფექტიანი ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად.

ჰიდროელექტრომშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელება საქართველოში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაღლივი კაშხალების მშენებლობის წარმატებით ათვისების შემდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ალვნიშნოთ მდინარე ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, რომლის კაშხალის თაღი 70 მეტრია, და მშენებარე ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომლის კაშხალის სიმაღლე 270 მეტრი იქნება.

უახლოეს წლებში მდინარე რიონზე აიგება კიდევ 2 ჰიდროელექტროსადგური (ნამახვანისა და ვარციხის), დაიწყება აგრეთვე ენგურის მეორე რიგის — ტობარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

გაგრძელდება მუშაობა თბილისის თბოელექტროცენტრალის გასაფართოებლად და მისი სიმძლავრე მიაღწევს 960 ათას კილოვატს. ეს ელექტროსადგური იმუშავებს ბუნებრივი გაზით.

ყველაფერი ეს იმის პირობებს შექმნის, რომ 1970 წელს რესპუბლიკაში გამომუშავებული იქნეს 11 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ნაცვლად 6 მილიარდი კილოვატსაათისა, რასაც 1965 წელს იძლეოდა საქართველოს ყველა ელექტროსადგური. ამ ციფრების დასახელებისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ 1918 წელს საქართველოს ელექტროსადგურები იძლეოდნენ მხოლოდ 20 მილიონ კილოვატსაათს.

ცხადია, იაფი ელექტროენერგიის ასეთი რაოდენობა იმის პირობებს შექმნის, რომ ფართოდ განვითარდეს ელექტრომეტალურგია, ელექტროქიმია, განხორციელდეს მრეწველობაში წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე ელექტროენერგიით უზრუნვ ე ლ ვ ყ ო თ ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა.

მეორე პრობლემა, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მწარმოებელი ძალების განვითარებისათვის, არის შავი და ფერადი ლითონების, ქიმიურ ნაკეთო-








ბათა და მანქანათმშენებლობის წარმოების გაფართოება.

ლითონის წარმოების გაფართოება საქართველოში, ძირითადად, განხორციელდება მსოფლიოში განთქმული ჭიათურის მარგანეცის ფართოდ გამოყენებით.

ქიმიურ მრეწველობაში გათვალისწინებულია გაორკეცდეს მინერალური სასუქების წარმოება, რომელიც ესოდენ საჭიროა საქართველოში ფართოდ გავრცელებული მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურებისათვის. მკვეთრად გადიდდება აგრეთვე კაპროლაქტამისა და სინთეტური ბოჭკოს წარმოება.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება უმთავრესად განვითარდება უახლესი ჩარხების, მანქანების, ელექტრონაკეთობათა, რადიოელექტრონული ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა ათვისების გზით.

ხუთწლედის განმავლობაში მანქანათმშენებლობის პროდუქცია ერთიორად და მეტად გადიდდება. ორჯერ გაიზრდება საბარგო ავტომანქანების გამოშვება. აშენდება მმართველი მათემატიკური მანქანების ქარხანა და მთელი რიგი ხელსაწყოთმშენებელი საწარმოები.

ახალი სახეობის მანქანებისა და აგრეგატების მასობრივი წარმოების ათვისებაში დიდ დახმარებას გაგვიწევენ საქართველოს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე შექმნეს ისეთი შესანიშნავი მანქანები, როგორიც არის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ტრაქტორები, თამბაქოს საშრობი აგრეგატები და მთელი რიგი სხვა ძვირფასი მანქანა და მოწყობილობა.

მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი და შრომის მწარმოებლურობის ზრდა უზრუნველყოფს სამრეწველო წარმოებაში ახალგაზრდობის ახალი კონტინგენტის ჩაბმას. ეს იქნება როგორც საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა, ასევე ისინი, ვინც სპეციალურ ტექნიკურ განათლებას მიიღებენ.

ახალგაზრდობა მასობრივად უნდა ჩავაბათ სამრეწველო წარმოებაში არა მარტო რესპუბლიკის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, არამედ პატარა ქალაქებშიც, სადაც ცხოვრობენ დიდი რაოდენობით ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც ტექნიკურ-სახელოსნო სასწავლებლებში საწარმოო გამოცდილების მიღების შემდეგ შეუძლიათ იმუშაონ მრეწველობაში.

დირექტივების მიხედვით დიდი პერსპექტივებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალმხრივობა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მრავალწლიან ნარგავებს და ტექნიკურ კულტურებს, როგორიც არის ჩაი, ვენახი, ხეხილი, თამბაქო, ეთეროვანი კულტურები და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანაა ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, უპირატესად უნდა განვითარდეს მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციის ხვედრითი წონა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება ძირითადად გათვალისწინებულია პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდის ხარჯზე. რესპუბლიკის კურორტების, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგების გაუმჯობესების მიზნით გაფართოვდება არსებული ფაბრიკები, აიგება ახლები.

როგორც ვთქვით, მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურები განსაზღვრავენ რესპუბლიკის სოფლის მეურ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის სპეციალიზაციის ხასიათს და მის ადგილს შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში. ამიტომ, მიმდინარე ხუთწლედში სწორედ ეს დარგები განვითარდებიან უპირატესად, რათა კიდევ უფრო უკეთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მოთხოვნილება ჩაით, ღვინით, თამბაქოთი, ეთეროვანი ზეთებით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამელიორაციო და წყალთა მეურნეობის სამუშაოთა დიდი პროგრამის შესრულებას. აქ მხედველობაში გვაქვს კახეთში ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა და დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის ფართობთა ამოშრობა.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის სამუშაოთა მთელი კომპლექსის დამთავრებისა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში ამ მიწების ათვისების შემდეგ ეს ზონა გახდება ჩაის, ხეხილის და ციტრუსოვანთა ნაყოფის, აგრეთვე სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოების უმნიშვნელოვანესი რაიონი.

საირიგაციო და ამოშრობის სამუშაოთა განხორციელების შედეგად, ხუთწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია ათვისებული იქნეს 65 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა და კოლხეთის დაბლობში განხორციელდეს სამელიორაციო სამუშაოები 90 ათას ჰექტარზე. რაოდენ დიდი ციფრებია ეს, იქიდანაც ჩანს, რომ დღეს საქართველოში 900,000 ჰა. ფართობი მუშავდება.

დირექტივებით, როგორც ვთქვით, გათვალისწინებულია ხალხის ჯანმრთელობის, დასვენების, კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება. ამ ღონისძიებაში შედის რესპუბლიკის კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა კურორტების მშენებლობის დარგში. ამას მოწმობს ის, რომ საკავშირო ჯანმრთელობის კერად იქცა კურორტი წყალტუბო, დიდი სამუშაოებია შესრულებული კურორტების ბორჯომის, აბასთუმნის, შოვის, აფხაზეთის და აჭარის ზღვისპირა კურორტების გასაფართოებლად. დიდი მშენებლობა მიმდინარეობს ბიჭვინთაში, სულ უფრო მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ბათუმი და სოხუმი, შენდება საზამთრო სამთო-სათხილამურო კურორტი ბაკურიანში. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში არის 35 ტურისტული ბაზა. მაგრამ მიმდინარე ხუთწლედში მაინც ბევრი უნდა გავაკეთოთ. უნდა განხორციელდეს ტურისტული და საკურორტო მშენებლობის დიდი პროგრამა, აიგება ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სასტუმროები, ამასთან ერთად კეთილმოწყობილ იქნება გზები, გაკეთდება ახალი საჰაერო საბაგირო გზები, ვერტმფრენის სადგურები, სპორტული ნაგებობანი, სარემონტო ბაზები, მაღაზიები, სასადილოები, დასვენებისა და გართობის ადგილები.

განხორციელდება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დიდი პროგრამა. მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის ქალაქებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. განხორციელდება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები, აიგება ახალი სკოლები და საავადმყოფოები, წყალსადენები, კიდევ უფრო გაფართოვდება ქალაქების გაზიფიკაცია და თბოფიკაცია.

ასეთია მოკლედ რესპუბლიკის წინაშე მდგომი ის ამოცანები, რომლებიც ახალ ხუთწლედში უნდა შესრულდეს.

ირაკლი მიქელაძე,
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მხატვარი
ვაჟა მელიქიშვილი



# პატარა [illegible]

დილაა. გაზაფხულის პირველი წვიმა ნამავს მიწას. მთაში პირველი წვიმა იმის ნიშანია, რომ ზამთარს ყავლი გაუვიდა, ყინვა აღარ მობრუნდება.

პატარა მდინარე ქუსნო ლაღად მირაკრაკებს ქვიან კალაპოტში. მისი ნაპირები ახლადაჟოჟინებულ ბალახსა და ფერად ყვავილებს დაუმშვენებია. უეცრად, მდინარის რაკრაკს მხიარული ჟრიამული შეერია: წითელყელსახვევიანმა გოგონებმა გადმოსჭრეს ქუსნო და მწვანე მდელოზე გაიშალნენ. გულდასმით აკვირდებიან ყვავილებს, უბის წიგნაკებში იწერენ მათი აყვავების თარიღს.

ნანული ფილაურმა შემოიარა ბუჩქები, მოინახულა ყველა ყვავილი და ამხანაგებს ეუბნება:

— წელს ყოჩივარდას თეთრყვავილამ დაასწრო ამოსვლა.

— თეთრყვავილამაც და ტყის ფურისულამაც, — ამბობს ქეთო ჯანგირაშვილი.

— აჰა, ახალი სტუმრები ჰერბარიუმისათვის,—ლეილა კენკიშვილი ყვავილების შეკვრას უწვდის ქეთოს.

— წავიდეთ, თორემ სკოლაში დაგვაგვიანდება, —ჩქარობს ნაილე გონჯილაშვილი...

გოგონები დაკვირვების უბანს ერთხელ კიდევ ავლებენ თვალს და მე-



— შეხეთ, შეხეთ მოლაღურიც მოფრინდა,—ვერ მალავს სიხარულს ვაჟა სულხანიშვილი.

რე სკოლისაკენ გარბიან. ესენი თიანეთის რაიონის ზარიძეების 8-წლიანი სკოლის მეყვავილეები არიან.

ქუსნოს მარჯვენა მხარეს, ტყისპირებშიც პიონერები ფუსფუსებენ. ნორჩი ფენოლოგები: დავით მაისურაძე, ვაჟა სულხანიშვილი, კაენ ცალუღლიშვილი და სხვები სულგანაბულნი უსმენენ ჩიტების ჭიკჭიკს. რვეულში მოკლედ იწერება: „წელს მდინარე ქუსნოს ხეობაში პირველად ტოროლა მოფრინდა, მერე მოლაღური, მერე შოშია, აპრილის პირველ რიცხვებში კი — ბოლოქცეცხლა. იხვებმა მთელი ზამთარი ადგილზე გაატარეს. ეს — თბილი, უთოვლო ამინდების გამო მოხდა. თბილი ამინდების შედეგია ისიც, წეროები შარშანდელთან შედარებით ათი დღით ადრე რომ ესტუმრნენ მთებს"... ბუნებაზე თავიანთ დაკვირვებებს ნორჩი ნატურალისტები საბოლოოდ აზუსტებენ, აჯამებენ და ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურისთვის ამზადებენ. ამ სადგურის დავალებით, ზარიძეელმა პიონერებმა ბუნებაზე დაკვირვება 7 წლის წინათ დაიწყეს. გადიან დღეები, წლები და, ოდნავადაც არ ცხრება მათი შრომის, ძიების ხალისი. ნელი ცალუღლიშვილის, გერონტი უშიკიშვილის, ნაზიბროლა ფოლადიშვილის, მევლუდ ფილაურის, ხვთისო ლიქოკელის, გიორგი არაბულის, მიხეილ იარაჯულის მიერ მიღებული სიგელები და საჩუქრები ამშვენებენ პიონერთა ოთახს.

პიონერთა ოთახში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ ბავშვთა ნამუშევრები. საინტერესოდ შეუდგენიათ ნორჩ ფენოლოგებს „რუკა-მაძიებელი". მუყაოს ზედაპირი დაფარულია ყვავილებით. იქვეა მიწერილი თითოეული მათგანის აყვავების თარიღი. რუკის ერთ მხარეს ელექტროჩამრთველებია, მათ გასწვრივ ყვავილთა სახელები წერია. დააჭერთ თითს ჩამრთველ ღილაკს და, პატარა ნათურა თქვენთვის საინტერესო ყვავილთან აინთება. აი, დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას საყვარელი პირიმზე. ის ხომ მარტო მთებში ხარობს, — გორმაღალასა და სიპისწყაროს, გუზუმბათისა და ბორბალოს კალთებზე. ცოტა ჯაფა როდი დასჭირდათ პატარებს, სანამ პირიმზე მათი „რუკა-მაძიებლის" მკვიდრი გახდებოდა.



ჰაერის ტემპერატურაზე დამკვირვებელთა ჯგუფი ბუდრუგანასთან.

კედლები აფერადებულია მინიატურული, ხევსურული ტანსაცმლით, თავსამკაულით, საბრძოლო იარაღებით, პლასტილინისაგან ნაძერწი ქანდაკებებით.

ერთი კუთხე იშვიათ ექსპონატებს აქვს დათმობილი. მოსწავლეებმა შემოიარეს ახლომახლო სოფლები, ისტორიული ადგილები, ციხე-კოშკების ნანგრევები. იპოვეს და შეაგროვეს ისტორიული მნიშვნელობის ნივთები. ერთი-მეორის მიყოლებით ჩამწკრივებულან სპილენძის სურა, ლითონის ისრის წვერი, ბრინჯაოს სამაჯური, მონეტები...

გულმოდგინედ შეუსწავლიათ პიონერ-მოსწავლეებს მშობლიური მხარე, მისი ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი...

სკოლის საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეების მიერ დარგული ვაშლის, მსხლის, ქლიავის ნერგები ხარობენ. ერთ მხარეს პანტისა და მაჟალოს სანერგეა. პატარები აქ თვითონვე ამყნობენ კულტურულ მცენარეებს, ეუფლებიან მებაღის პროფესიას.

არც მარადმწვანე და დეკორატიული მცენარეები დავიწყებიათ პიონერებს. ღობის გაყოლებით ტანი აუყრიათ ფიჭვებსა და ვერხვებს. ხეებს შორის ყვავილების გაზონებია.

საცდელ ნაკვეთზე ბოსტნეულის, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის მწვანე ყლორტები ხასხასებენ. ნორჩი ნატურალისტები თავს დასტრიალებენ კვლებს, მიწას აფხვიერებენ.

თიანეთის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგემ ანა ქაჩლიშვილმა პიონერებს გაუმჯობესებული ჯიშები დაათესინა: „მინაზოტა", „თეთრი კაჟოვანა", „უფხო პირველი"... ბავშვებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა წლის ბოლოსათვის მაღალი მოსავალი მიიღონ.

კოლმეურნეებთან და სპეციალისტებთან ახლო ყოფნის, მათი რჩევა დარიგების გულისყურით მოსმენის შედეგად, მოსწავლეებმა კარგად იციან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის წესები, ნია-



— წელს ყოჩივარდას თეთრყვავილამ დაასწრო ამოხვლა,—ამბობს ნანული ფილაური.

დაგში სასუქების შეტანის ვადები და ნორმები.

სკოლის დირექტორი, სპეციალობით გეოგრაფი, ვასილ წიკლაური დიდხანს ფიქრობდა გეოგრაფიული მოედნის მოწყობაზე. ბოლოს ნაფიქრი კიდეც განახორციელა. გასცქერი გეოგრაფიულ მოედანს და, ასე გგონია, რომელიღაც ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურში მოხვდი. „ამინდის მზვერავები“: ქეთევან ფილაური, მერაბ იორამაშვილი, ქევსერ ღვინიაშვილი და სხვები გულმოდგინედ ანგარიშობენ ნალექების დღიურ თუ წლიურ რაოდენობას, ქარის სიძლიერესა და მიმართულებას, ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობას. უფრო მეტიც: ისინი მოსალოდნელი ამინდის წინასწარ განსაზღვრასაც ცდილობენ და მათი პროგნოზი ხშირად მართლდება კიდეც.

ზარიძეების 8-წლიანი სკოლის პიონერები მონაწილეობენ ნორჩ ფენოლოგთა რესპუბლიკურ კონფერენციებში და თავიანთი საქმიანობით ქებას იმსახურებენ. მათ არასოდეს ავიწყდებათ პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის სიტყვები: „ჩემო პატარებო, თქვენ ალბათ ჯერ არც კი იცით, პატარა ხელებით რა დიდი საქმეები გიკეთებიათ“...

მთის სოფელში ხალისიანად წკრიალებს სკოლის ზარი. სწავლასა და შრომაში ფეხაკრეფით მიიპარება დრო.

გიორგი გიგაური.

ფოტო ლ. გელოვანისა.

# თქვენთან ერთად

ლიდია მეგრელიძე

მალხაზებო—
უთენია ამღერდებით,
გაბრწყინებულ
თვალთა ისრებს
მზისკენ ისვრით,
გსურთ მოსტაცოთ
ნათელ ზეცას
შუქი ცისკრის,
ციდან მოსჩქეფს
მოლივლივე
შადრევნები.
მინდა ვიყო
თქვენთან ერთად
მეც პატარა...
წლები მხოლოდ
სახეს სუსხავს,
გულს კი—არა!

# მშობელ კუთხეს

ემზარ კვიტაიშვილი

მომწყურებია კვლავ შენი ნახვა,
მომნატრებია შენი სინათლე,
ოცნებით,
ფიქრით ყოველთვის აქ ვარ,
გნახავ და მერე ისევ გინატრებ.
დიდი ალვები შრიალებს მზეზე,
მწვანე ფოთლებში ისევ დგას ოდა...
გაფრენილ დღეებს ამაოდ ვეძებ,
არც ის ქარი ჰქრის, ადრე რომ ჰქროდა.
ყრმობის ძახილი აქ აღარ ისმის
სერიდან სერზე და მთიდან მთაზე,
გადაჰფენია სამებას ნისლი,—
დაწრეტილ ღელეს, გაფოთლილ ვაზებს.
მიზეზი შენ ხარ და შენ გიმადლი,
თუ ქვეყნად მცირე სიკეთეს ვთესავ,
მადლობელი ვარ შენი სიმაღლის,
შენი სურნელით სავსე ვარ დღესაც.
გაივლის წლები და მომინდება,—
თამამად შევხვდე ყველა ახლობელს,
მათი იმედი გზას გამინათებს,
ისინი მუდამ გულში სახლობენ.







ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურამ ვარაზანაშვილი**

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

ავტობუსი მოსახვევიდან გამოვარდა. ოციოდე მეტრი გაირბინა და შეჩერდა. გზისპირას ხელაწეული კაცი იდგა, მხარზე ტყავის ჩანთა ეკიდა, ქუდზე სპილენძის ორი გადაჯვარედინებული ფოთოლი უელავდა.

— ბორჯომში ვერ წამიყვანთ? — ამოიძახა გუგუნა ხმით, პასუხს აღარ დაელოდა და ავტობუსში ამოალაჯა.

— დასაჯდომი ადგილი არა გვაქვს... — მოიბოდიშა მძღოლმა.

— არა უშავს რა, ფეხზე დგომას მიჩვეული ვარ.

ავტობუსი დაიძრა. მგზავრები უხმო ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მოულოდნელად შემომატებულ თანამგზავრს, მის ბრგე ტანს, ვებერთელა, დაკოჟრილ ხელებს, ქარსა და მზეში დამწვარ სახის კანს. ეტყობოდა, ტყეში ალმა-დალმა სიარული უცხო ხილი არ იყო მისთვის.

— კოტე მუჯირი გახლავართ, ტყისმცველი, — გაეცნო ავტობუსში მსხდომთ, თუმცა არავინ არაფერს ეკითხებოდა. ტყე-ღრე ნახეტიალევი, ლაპარაკს იყო მოწყურებული და ახლა შემთხვევა მიეცა გული ეჯერა საუბრით.

— სასიამოვნოა, — წინა სავარძელზე მჯდომმა თეთრწვერა მოხუცმა თავი დაუქნია. სხვები ჩუმად ისხდნენ.

— ალბათ ექსკურსიაზე იყავით, არა?

— დიახ, — დაუდასტურა თეთრწვერას გვერდით მჯდომმა სათვალიანმა მამაკაცმა.

— ჰო... ახლა ხშირად დადიან ექსკურსიაზე. თქვენ საიდან მოდიხართ?

— ვარძიიდან ვბრუნდებით, — გაეპასუხა ისევ სათვალიანი, — ცხრაწყაროს უღელტეხილზე გადმოვიარეთ... ბაკურიანიც მოვინახულეთ.

— მერე, მოგეწონათ?

— რა თქმა უნდა...

საუბარში გამხდარი ქალი ჩაერია:

— მე ადრეც ვყოფილვარ ბაკურიანში... ზამთარში, ცხადია, თურმე ზაფხულშიაც შესანიშნავი ყოფილა.

ტყისმცველმა თვალი მოავლო ლურჯად აქოჩრილ მთებს და სახე მოეღრუბლა.

მოთენთილი მგზავრები თანდათან გამოცოცხლდნენ; ავტობუსში ხმაურმა იმატა. იგონებდნენ ვინ რამდენჯერ იყო ბაკურიანში. აღმოჩნდა, რომ უმეტესობას ზამთარში ემგზავრა, ისიც მატარებლით. ყველაზე მეტს მსუქანი, ლოყებღაჟღაჟა მამაკაცი ლაპარაკობდა. ამბობდა, კიდევ ვესტუმრები ამ მხარეს, ოღონდ — უფრო დიდი ხნითო.

სარკმელს მიკრული ქალიშვილები ხმადაბლა საუბრობდნენ:

— პირველად მიხდება ამ გზით მგზავრობა... შეხედე, ცირა, რამსიმაღლე ნაძვებია!

— ასეთი ტყე ზღვას მაგონებს.

— ნახე, რა სიმწვანეა ირგვლივ!.. შორს კი მთები ლურჯდებიან.

— მწვანე ზღვა.. .ეს მთები კი მისი ტალღებია...

ტყისმცველი ერთხანს მოსაუბრეთ უსმენდა, მერე თვალი მძღოლის ზურგსუკან მოკალათებულ ბიჭზე შეაჩერა.

— შენ დაიჭირე?

ბიჭმა დაიმორცხვა, მამას გადახედა, მუხლებზე დასკუპულ კოდალას ხელი ალერსით გადაუსვა.

— აგერ, გზაზე შევიძინეთ, — წამოეშველა ბიჭს მამა, — ვიღაც ახალგაზრდა ყიდდა. — მერე რატომღაც გაცხარდა და ტყისმცველს შესჩივლა: — წარმოიდგინეთ, როგორ ძვირად დამიფასა, ხუთ მანეთს კაპიკი არ დააკლო, თითქოს უბრალო ჩიტი კი არა, ინდაური ყოფილიყო... ბავშვს გული არ ვატკინე, თორემ ამაში ფულს როგორ გადავყრიდი!

— ეტყობა ფრინველები უყვარს.

— უყვარს და მერე როგორ! რა მოვუხერხო, არ ვიცი. სახლი ზოოპარკს დაამსგავსა.. სადაც უპატრონო ლეკვს ან კნუტს ნახავს, შინ მოარბენინებს. ჩიტებს ხომ ნუღარ იტყვით!..

— მოსიყვარულე გული ჰქონია, — შენიშნა ისევ ტყისმცველმა.

— როგორ?! — ვერ გაიგო ბიჭის მამამ.

— ვისაც ცხოველები და ფირნველები უყვარს, არ შეიძლება კეთილი გული არა ჰქონდეს.

ბიჭის მამა შეიშმუშნა.

— რა ვიცი... თუ კი რომელიმე კნუტი გადავუგდეთ, ერთ ამბავს ატეხავს ხოლმე.

ავტობუსში გაიცინეს.

ბიჭი კოდალას ზურგზე ხელს უსვამდა და სარკმელში იცქირებოდა. ერთხელ ფრინველიც გაახედა, მაგრამ კოდალამ ფეხები აიფხაჭუნა მინაზე. გასხლტომას შეეცადა. ბიჭს შეეშინდა და სწრაფად მოაშორა სარკმელს.

— ერთი ეს მითხარი, მეგობარო, — წამოიძახა მსუქანმა, — რატომ ყრია გზისპირას ამდენი მოჭრილი ხე, შეშის დამზადებაა?

ტყისმცველმა მწარედ ჩაიცინა.

# კეთილი გული

— დამზადებაო? დამზადებაც არის და დამზადებაც!.. როცა იძულებული ხარ გაჩეხო, მოსპო ტყე, — დამზადება კი არა, წამებაა.

მგზავრებმა თავი ასწიეს, ტყისმცველს დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ.

— რაო, — იკითხა ისევ ლოყებღაჟღაჟამ, — უნებართვოდ სჭრიან?

— უნებართვოდ ჭრას ვინ ჩივა... ისეთი მტრისაგან კი, მას რომ გაუჩნდა, ღმერთმა ყველა დაიფაროს.

ავტობუსში საუბარი შეწყდა, ბიჭიც ტყისმცველისაკენ შემობრუნდა.

— რომელ მტერს გულისხმობთ? — დაინტერესდა სათვალიანი.

— ლაფანჭამიაზე მოგახსენებთ... ასეთი ვერაგი და დაუნდობელი მტერი ჯერ არა ჰყოლია ბორჯომ-ბაკურიანის ტყეს.

— მერე, მერე? — მოუთმენლად წამოიძახეს უკანა რიგებიდან, — ბევრი ხე გააფუჭა?

— ბევრიო?! — სახე მოეღრიცა ტყისმცველს, — აგერ, წაღვერს მივუახლოვდებით და თქვენი თვალით ნახავთ... ჭერეხებივით ყრია ვეებერთელა ხეები... გული აგიტირდება კაცს.

ავტობუსში დუმილი ჩამოვარდა. მოსახვევები დაიწყო და მანქანამ სვლას უკლო.

— არაფერი შველის? — სიჩუმე თეთრწვერა მოხუცმა დაარღვია.

— როგორ არა, სპეციალურ წამალს ვასხურებთ... ბევრი ხე გადავარჩინეთ დალუპვას, — მერე სახე გაეხსნა და ღიმილით დაუმატა: — ამ საქმეში საიმედო თანაშემწეებიცა გვყავს, ძალიან გვეხმარებიან.

— რომელი თანაშემწეები?

— აი, ამ ბიჭს რომ ჰყავს, მაგისთანები.

გაოცებულმა მგზავრებმა ბიჭისკენ შეაბრუნეს თავი. მან კი, თითქოს წართმევას უპირებენო, გულში ჩაიხუტა ჭრელი ჩიტი.

— ამას წინათ ტყეში ერთ მონადირეს წავაწყდი, — განაგრძო ტყისმცველმა, — ორი ციყვი და სამი კოდალა მოეკლა. რატომ დახოცე-მეთქი. ისე... ბავშვებს წავუღებ და გაეხარდებათო. აი, თუნდაც, ის ახალგაზრდა, ვინც ეს კოდალა დაიჭირა... ეტყობა, შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ასეთნი კი ერთი-ორი როდია.. იმათ კი აღარ ფიქრობენ, რამხელა ზიანი მოაქვთ ტყისათვის...

— კარგი ერთი, — შეაწყვეტინა მსუქანმა, — კოდალას მოკვლამ ტყეს რა ზიანი უნდა მიაყენოს, შე კაცო. კოდალა თუ მატლს ეძებს გამხმარ ხეზე, ისიც თავისი კუჭისთვის; რამდენი ხე მინახავს, კოდალას გარეშეც მშვენივრად სძლებს.

ავტობუსში მყოფნი გაიტრუნენ. აინტერესებდათ რას მიუგებდა ტყისმცველი.

ტყისმცველი წუთით გაირინდა, თითქოს ფიქრობდა საიდან დაეწყო.

— ძერასა და ქორს ხომ იცნობთ! — თქვა მოულოდნელად.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ყველამ.

— ჰოდა, ერთ ქვეყანაში თურმე სულ გაჟუჟეს ისინი: ხანდახან წიწილებს გვპარავსო; და იცით, რა მოხდა? ხალხი დაიმშა. ძერა და ქორი ძირითადად მღრღნელებით იკვებებიან. მოსპეს მტაცებლები, — გამრავლდნენ მღრღნელები. თაგვებმა და ზაზუნებმა ერთიანად გააჩანაგეს ყანები. ასეა კოდალას ამბავიც... ამ მხარეში ისპობა ეს სასარგებლო ფრინველი, და მრავლდებიან საშიში მავნებლები. ბევრჯერ მინახავს, რა ხარბად მიირთმევდა კოდალა ლაფანჭამიას ჭუპრებს... ეგ რომ არა, პირწმინდად გაქრებოდა ეს მშვენიერი ტყე. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ეს მხარე უტყეოდ... ვარძიის ხრიოკ ფერდობებს არ დაემსგავსებოდა? განა მარტო აქ!... და ჩვენ აღარ გვექნებოდა საქვეყნოდ განთქმული კურორტები...



ყველას გულში მოხვდა ტყისმცველის სიტყვები, ხმას არავინ იღებდა. მოულოდნელად ავტობუსი გაჩერდა. გზა წაქცეული ნაძვის ხეებით იყო ჩახერგილი. რამდენიმე მუშა ტოტებს აჭრიდა მორებს.

მძღოლმა თავი გაყო კაბინიდან.

— ეი, ძმობილო! — დაუყვირა ახლო მდგომს, — მალე იქნება გზა?

ერთმა მუშამ თავი ასწია.

— ნახევარი საათი მაინც მოგიხდებათ ლოდინი. ტრაქტორი გაგვიფუჭდა და მორები ვეღარ გაგვითრევია. აგერ, საურმე გზაა, შეგიძლიათ გახვიდეთ.

მძღოლმა ჩართო მოტორი, უკან დასწია მანქანა და საურმეზე გავიდა. ხუთიოდე წუთს მშვიდად მიდიოდნენ, მერე მანქანა თხრილში ჩავარდა და დაბუქსავდა.

— ჩავიდეთ, მივეხმაროთ, — თქვა ტყისმცველმა და ავტობუსიდან გადმოვიდა...

ავტობუსი ხელად დაცარიელდა.

ბიჭმა ამ შეფერხებით ისარგებლა და მკერდზე მიკრული კოდალათი ბილიკს გაუყვა. ყველგან ეყარა მოჭრილი ხეები. ბიჭი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა და დააცქერდა. ხის ტანი დაჩვრეტილი და გამოხრული იყო. ბიჭი ზედ ჩამოჯდა, თვალებგაფართოებულმა აჰხედა გასახმობად განწირულ ხეებს. ერთხანს იჯდა ასე გარინდებული, თან ფეხით მიწაზე დაყრილ გირჩებს ქექავდა. მერე წამოხტა და კოდალა ჰაერში აისროლა. ფრინველმა იგრძნო თავისუფლება, ფრთები გაშალა, მაგრამ შორს არ გაფრენილა; მახლობელ ხეზე შემოჯდა და მალე იქიდან კაკუნი მოისმა. ბიჭმა გაიღიმა და კოდალას, გამოსამშვიდობებლად, ხელი დაუქნია...



ავტობუსი უკვე ამოეთრიათ და მძღოლი ახლა ყოველი მხრიდან ათვალიერებდა მას.

ბიჭი რომ ხელცარიელი დაინახა, მამას გაუკვირდა:

— ბიჭო, რა უყავი ჩიტი?

ტყისმცველი ბიჭს მიუახლოვდა და მხარზე დაადო ხელი.

— ბავშვს მართლაც კეთილი გული ჰქონია, რა არის აქ გაუგებარი?!

ცოტა ხნის შემდეგ ავტობუსი ისევ გზატკეცილზე მისრიალებდა. მგზავრები კვლავინდებურად მხიარულობდნენ. ბიჭი კი სარკმელს მიჰკვროდა და ლურჯ მთებს მდუმარედ გასცქეროდა.



ი. გოგებაშვილი: ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროის რომი ბევრად სჯობდა ცოდნით ძველს რომსა, მაგრამ ეს უკანასკნელი მუდამ იმარჯვებდა უძლიერეს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე კი — უვიცმა, ველურმა ხალხებმა ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ, ზნეობრივი გახრწნილებით იყო შეპყრობილი.

ა. ჰერცენი (შვილი): ზნეობა ადამიანისა, როგორც საზოგადოების წევრისა, მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან, ყოველთვის და, რაც არ უნდა მოხდეს, იმოქმედოს მოყვასისა და მთელი საზოგადოების სიკეთის მოთხოვნათა თანახმად.

დ. დიდრო: ნათელი მხოლოდ სათნო ადამიანშია დამკვიდრებული, ბოროტის სულში კი წყვდიადია.

ეპიკურე: არ არსებობს სასიამოვნო ცხოვრება გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრების გარეშე, და არც გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრება — სასიამოვნო ცხოვრების გარეშე.

ვოლტერი: ჩემთვის ყველაზე დიდია ყველაზე სათნო ადამიანი.

ვ. ი. ლენინი: ...ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ჰქმნის.

ჯ. რიოსკინი: ჩვენი ზნეობრივი გრძნობები ისეა გადახლართული ჩვენს გონებრივ ძალებთან რომ არ შეგვიძლია შევეხოთ პირველთ ისე, რომ არ შევეხოთ მეორეებს.

საადი: ბრძენთა საერთო აზრით, გაწვრთნილი ძაღლი ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ზნედაცემული ადამიანი.

ე. შეინხტერსლეზენი: არსებობს მხოლოდ ერთი ზნეობა — სიმართლე, და მხოლოდ ერთი უზნეობა — სიცრუე.

ა. ჩეხოვი: რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრივ, მით უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს მას ცხოვრება.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული მწერლობის გვირგვინია! ქართველი ერის უძვირფასესი განძია. მას მძლავრად აქვს ფესვები გადგმული მშობელი ხალხის გულში, იგი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენს ეროვნულ ტრადიციასთან, ხასიათთან, გრძნობებსა და მისწრაფებებთან. რუსთაველის გენიალურმა პოემამ განუზომელი როლი შეასრულა ჩვენი ერის ისტორიაში. ქართველი კაცი ამ წიგნში ჰპოვებდა პასუხს მის წინაშე დასმულ ცხოვრებისეულ მრავალ კითხვაზე, ჰბაძავდა პოემის გმირებს, ვაჟკაცობასა და სიყვარულს სწავლობდა მათგან. დიდი შოთას მადლიანი სიტყვა საუკუნეების მანძილზე საიმედოდ ედგა მხარში მშობელ ერს.

როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსანი“ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა დაწერილი. ეს დრო მნიშვნელოვანი ხანაა ჩვენი ერის ცხოვრებაში. XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებელმა დაასრულა ბრძოლა გაერთიანებისათვის, ხოლო თამარ მეფის დროს საქართველომ მიაღწია ძლიერების ზენიტს. შეიქმნა მძლავრი, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო. ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა აღმავლობამ განაპირობა კულტურის აღმავლობაც. XI-XIII საუკუნეებში შეიქმნა ჩვენი ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები. ამ დროს ჩაისახა და განვითარდა ახალი დარგი ქართული მწერლობისა — საერო მწერლობა, დაიწერა ისეთი ძეგლები; როგორიცაა „ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები, დავითისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებანი, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის ფილოსოფიური ტრაქტატები.

მეხუთე საუკუნეს განეკუთვნება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომლის მაღალი ლიტერატურული ღირსებები, გამართული, დახვეწილი ენა ადასტურებს, რომ იგი არ უნდა იყოს პირველი თხზულება, თუმცა მასზე უწინარესი ლიტერატურული ძეგლი ჩვენ არ შემოგვრჩენია.

V საუკუნიდან XI საუკუნემდე ქართული მწერლობა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დარგით — სასულიერო მწერლობით. XI-XII საუკუნიდან სარბიელზე გამოდის საერო მწერლობაც.

საერო მწერლობის წარმოშობა და განვითარება ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია იმ დიდი გარდატეხისა, რაც ქართულ ენაში მოხდა. XI-XII საუკუნეებიდან ქართული ენა აღარ არის ძველი ქართული, ძველი სასულიერო მწერლობის ენა. საერო მწერლობამ გაათავისუფლა ენა მოძველებული ლექსიკურ-გრამატიკული ნორმებისაგან, ლიტერატურაში ფართოდ გაეხსნა გზა ხალხურ, სასაუბრო მეტყველებას, ბუნებრივ, სადა, მარტივ ენას. ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა დიალექტების, კილოების როლი.

„ვეფხისტყაოსანი“ ძველი ქართულიდან ახალი ქართული ენისაკენ მობრუნების გზასაყარზე დგას. XII-XVIII საუკუნეთა ძეგლების ენას სამეცნიერო ლიტერატურაში საშუალ ქართულს უწოდებენ. ამ პერიოდის ენა ნათლად ასახავს იმ რთულ პროცესებს, რაც სამწერლო ენაში მიმდინარეობდა: ამ დროს ჯერ კიდევ დიდია ძველი ლიტერატურული ენის ტრადიცია, ამასთან — გზას იკაფავს ბუნებრივი, სასაუბრო მეტყველება; ერთმანეთის გვერდით გვხვდება ძველი და ახალი ენობრივი ნაერთი; ახალი, რომელიც ძველის გვერდით ჩნდება, თანდათან იფართოებს არეს და აძევებს ძველს.







ძველი ქართული, ე. ი. V-XI საუკუნეთა ენა, სავსებით ერთნაირი როდია, მასშიც გამოიყოფა განსხვავებული ენობრივი ფენები; ლექსიკაში, გრამატიკაში საკმაოდ დასტურდება პარალელური ფორმები. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული მაინც მთლიანი ერთეული, მტკიცე ენობრივი ნორმების მქონეა. საშუალი ქართული კი სწორედ ამ მტკიცე ნორმების უქონლობით ხასიათდება. სწორედ ეს არის მისი არსებითი ნიშანი. იგი გარდამავალი საფეხურია ძველიდან ახლისაკენ. ზოგი მკვლევარი საშუალ ქართულს ცალკე პერიოდად არც კი გამოჰყოფს და „ვეფხისტყაოსანს“ ახალი ქართული ენის ძეგლად მიიჩნევს.

„ვეფხისტყაოსანი“ საშუალი ქართულის დასაწყის ხანას განეკუთვნება. მომდევნო საუკუნეების ძეგლებთან შეღარებით იგი ქრონოლოგიურად უფრო ახლოს დგას ძველ ქართულთან და, ამიტომაც, უფრო მეტი აქვს საერთო მასთან. „ვეფხისტყაოსანში“ მტკიცედ და შეურყევლადაა დაცული ძველი ქართულის ბევრი ენობრივი ფორმა, რომელიც შემდგომ მოიშალა, შეიცვალა, უკუგდებულ იქნა. „ვეფხისტყაოსნის“ ენა უფრო მთლიანია, ნაკლებ ჭრელია, უფრო მტკიცე ნორმების მქონეა.

ვიდრე, ვთქვათ, XVI-XVIII საუკუნეთა ქართული.

როცა ვამბობთ, „ვეფხისტყაოსნის“ ენაო, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს რუსთაველის ეპოქისაგან რამდენიმე საუკუნით დაშორებული ასლები პოემის დედნისა. „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერები XVII საუკუნეს განეკუთვნება. პოემის მრავალრიცხოვან ხელნაწერებში რუსთაველის ტექსტს გარკვეული ცვლილებანი განუცდია. გადამწერები, ნებით თუ ენებლიედ, ასწორებდნენ ცალკეულ ადგილებს, მათთვის გაუგებარ, არქაულ ფორმებს ცვლიდნენ ახლით, გასაგებით, გვიანდელი ხანის მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმების მიხედვით მართავდნენ ტექსტს.

ხელნაწერთა უთრიერთშეჯერებისა და რუსთაველისდროინდელი სხვა ძეგლების ენის მონაცემთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება პოემის ენის ადრინდელი სახის აღდგენა, ტექსტის გაცხრილვა გვიანდელი „შენაძენისაგან“. ამ მხრივ დიდი მუშაობაა გაწეული რუსთველოლოგთა რამდენიმე თაობის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, საერო მწერლობამ სალიტერატურო ენა დაუახლოვა ცოცხალ, სასაუბრო ენას, სამწერლო ენაში მძლავრ ნაკადად შემოიჭრა დიალექტური, კილოური მონაცემები. ზემოთქმული სავსებით შეეხება რუსთაველის ენასაც... საფიქრებელია, რომ შოთამ ბევრი რამ აიღო ე. წ. დედა-კილოდან. არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ აკი ათქმევინებს თეიმურაზს: „ლაზოდა თქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე“. არჩილს, რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდა ხალხური და ლიტერატურული ტრადიცია შოთას მესხობის, მესხეთის რუსთავიდან წარმომავლობის შესახებ.



მხატვარი

ს. ქოგულაძე.

ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა.

რუსთაველის ენის ზოგი მკვლევარი ცდილობდა შოთას ენაში ეპოვა დიალექტიზმები და მათი საშუალებით შეემაგრებინა ესა თუ ის მოსაზრება დიდი მგოსნის სადაურობის შესახებ. მაგრამ ასეთი ცდები წარმატებით არ დაგვირგვინებულა. საქმე იმაშია, რომ, ჯერ ერთი, მრავალი დიალექტური, კილოური თავისებურება ერთი რომელიმე კილოს კუთვნილება არ არის, მეორეც, ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვიცოდეთ, დღეისათვის ერთი რომელიმე კილოსათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტი იყო რუსთაველის დროსაც მხოლოდ ამ კილოსათვის ნიშანდობლივი თუ, საერთოდ, დიალექტიზმი.

რუსთაველის ენის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი კუთხური მეტყველების ნაჭუჭში კი არ არის მომწყვდეული, არამედ საერთო-სახალხო ენას წარმოადგენს.

ორიოდე სიტყვით გავეცნოთ „ვეფხისტყაოსნის“ ენის ზოგიერთ თავისებურებას.

რუსთაველის ენაში ნახევარხმოვანი იოტი აღარ გვხვდება. ამასთან დაკავშირებით, სახელთა ბრუნება ძველი ქართულისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში ბრუნვის ნიშანი, როგორც წესი, გამქრალია და წმინდა ფუძეა წარმოდგენილი: ყმა. მამა, მზე, სიუხვე, წყარო, ცრუ და ა. შ. ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთ ა ბოლოკიდურიან სიტყვაში ნიშანი სრულ ხმოვნად არის წარმოდგენილი: ყველაი, ცოტაი, პაშტაი...

ასევე განსხვავდება ძველი ქართულისაგან ბოლოუკვეცელ სახელთა ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის წარმოება. ძველი ქართულის ოქროჲსა, უცხოჲთა და მსგავს ფორმათა ნაცვლად გვაქვს გამარტივებული, დიფთონგმოშლილი ფორმები: დაუდგეს ტახტი ოქროსა (117,2). ახადეს, ქალი გარდმოხდა უცხოთა რათმე ტანით (1119,2),

მართალია, მოყვანილი ფორმები ძველი ქართულისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ჯერ არც ახალი ქართულის წარმოებასთან გვაქვს საქმე. ბრუნვის ნიშნებს ჯერ კიდევ ემფატიკური ა ხმოვანი ერთვის და არა ი. დღეს ითქმის: ოქროსი, უცხოეთი.

მოთხრობით ბრუნვაში, როგორც წესი, ძველი **მან** დაბოლოება ერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე

ხმოვანფუძიან სახელებს: კაცმან, მზემან და ა. შ. ორიოდე შემთხვევაში თავს იჩენს გამარტივებული, ახალი სახე მოთხრობითისა: ესე სიტყვა დაასრულა წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა (168,1), ვა, რად დაგვწვენ, უცხომ უცხო, რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი (961,4).

ძველ ქართულში განსხვავებულად იბრუნვოდა საკუთარი და საზოგადო სახელები, საკუთარ სახელებს სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნები არ დაერთოდა. „ვეფხისტყაოსანშიც“, ძირითადად, ამგვარი ვითარებაა: სიტყვის ფუძე გამოხატავს სახელობითსაც და მოთხრობითსაც, მაგ., ავთანდილ იყო სპასპეტი (40,1), გამოეგება ტარიელ (278,1), ასმათ ტირს, მოსთქვამს (933,1), ავთანდილ გასცა პასუხი (282,1), ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი დალამნეს (932,2).

როგორც ვიცით, სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში ორგვარად იწარმოება: — ებ სუფიქსით (ე. წ. ებიანი მრავლობითი) და — ნ, — თ სუფიქსებით (ე. წ. ნარ-თანიანი მრავლობითი). დღეს თუ ებიანი მრავლობითია ძირითადი, ძველ ქართულში ნარ-თანიანი იყო გაბატონებული.

„ვეფხისტყაოსანი“, ძირითადად, ძველ ქართულს მისდევს, უპირატესად ნარ-თანიან მრავლობითს იყენებს. ამასთან, მტკიცედაა დაცული სახელთა მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ძველი წესი, კერძოდ, ნარიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ზმნაში — ენ — ნ სუფიქსს აჩენს. მაგ., მეფემან უხმნა ვაზირნი (34,3), და ვლიენ სიყმაწვილისა დღენია (62,2). ჩვენ ხმელნი მოვიარენით (116,1).

ძველი ქართულისებურადვე აისახება ზმნაში პირველი და მეორე პირის სიმრავლე (იგულისხმება, რომ I-II პირი პირდაპირი ობიექტია): არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად ამოგვკრიფნა (204,3) ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი (289,3).

ახალ ქართულში მიცემითში დასმული სახელის სიმრავლე ზმნაში — თ სუფიქსით აღინიშნება, ძველ ქართულში კი მიცემითს არ გააჩნდა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი. „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძველ ნორმას მისდევს. ამიტომ დღევანდელი ქართულისათვის უჩვეულოდ გამოიყურება, ვთქვათ, ასეთი ფრაზები: დღეს ერთმანეთი გინახავს და ტურფად მოგწონებია (485,3), ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა (84,4). დღეს ვიტყოდით: გინახავთ, მოგწონებიათ, მოუნდათ.

ზმნის დრო-კილოთა სისტემაში მკვიდრი ადგილი უჭირავს ხოლმეობითებს, ე. ი. ზმნის ფორმებს, რომლებიც მოქმედების მრავალგზისობაზე, განმეორებულობაზე მიუთითებენ: ხოლმეობითი მეორისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მაგალითებია: ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან (956,3), ნახის ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად (41,3), დღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა (181,4). დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ხოლმეობითის კატეგორია აღარ გვაქვს, იგი მხოლოდ ზოგიერთ კილოს შემორჩა და აქედან ზოგჯერ სამწერლო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სრულებით არ იცნობს აწმყოს ხოლმეობითს. ძველ ქართულისათვის დამახასიათებელი არნ, არიედ (არის არიან ხოლმე); წერენ, წერედ (წერს, წერენ ხოლმე) და მსგავსი ფორმები რუსთაველის ენისათვის უცხოა.

ასევე უცხოა „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის III პირის ბრძანებითის ფორმები: დაწერენ, მოკალნ (დაწეროს, მოკლას). მეორე პირში კი ძველებურად იხმარება პირველი ბრძანებითის ფორმები: ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი; დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი (154,1-2). აქ მოყვანილი ზმნები, რომლებიც ფორმით უწყვეტელს ემთხვევიან, შინაარსით ბრძანებითს წარმოადგენენ.

„ვეფხისტყაოსანში“ საინტერესოა მოქმედებითი გვარის ზმნათა თურმეობითი პირველის წარმოება. როგორც ახალ, ისე ძველ ქართულში გარჩეულია, ერთი მხრივ, — ავ, — ამ სუფიქსიანი და, მეორე მხრივ, სხვა დანარჩენი ზმნებისაგან თურმეობითი პირველის წარმოების წესი. — ავ, — ამ სუფიქსიან ზმნებს ეს მწკრივი აწმყოს ფუძიდან ეწარმოება: მოუკლავს, დაუბამს; სხვა ზმნებს კი ფუძეზე დაერთვის — ი (ძველ ქართულში — იე) დაბოლოება: გაუზრდია (ძვ. გაუზრდიეს), დაუწერია (ძვ. დაუწერიეს).

განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის იმაში მდგომარეობს, რომ დღეს თურმეობითის პირველ-მეორე პირში მეშველი ზმნა იხმარება: მოვუკლავარ, მოუკლავხარ, გავუზრდივარ, გაუზრდიხარ. ძველ ქართულში მეშველი ზმნა არც I-II პირში იყო გამოყენებული: მოუკლავ მას მე, მოუკლავ მას შენ; გაუზრდიე მას მე, გაუზრდიე მას შენ. როგორც ვხედავთ, პირველ-მეორე პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს იმიტომ, რომ პირველი სუბიექტური პირის ვ ნიშანი ძველ ქართულში უ ხმოვნის წინ არ წარმოითქმოდა და

## შოთა რუსთაველს

### გიორგი კაჭახიძე

სიყვარულის მტრებმა გდევნეს,
შეგინახა შენმა ხალხმა...
ბრწყინავს „ვეფხისტყაოსანი“
ადრინდელზე უფრო ახლა.

შიგ ელვარებს აზრი, გრძნობა,
სილამაზე ცის და მიწის,
რვაასი წლის მნათობი ხარ,
ანათებ და არ დაიწვი.

ტოლ-სწორივით თვალს უსწორებ
ვარსკვლავების ციურ ციმციმს;
დიდმა აზრმა, დიდმა გრძნობამ
მარად წვა და ბრწყინვა იცის.

გულს რა ცეცხლი წაუკიდე,
რომ ყოველგან მოყვრებს იძენ,
ყველას თვალში რომ გვამაღლებს
შენი სიტყვა, შენი სიბრძნე!

აღგზნებული მგოსნის სულით
შემოგვხარი და ხელს გვართმევ,
სიყვარულად, სიამაყედ
გულში ყავხარ ყველა ქართველს.

აგვიმაღლე აზრი, გრძნობა,
სილამაზე ცის და მიწის,
რვაასი წლის მნათობი ხარ,
ანათებ და არ დაიწვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც იწერებოდა. არც რუსთაველის ენას ახასიათებდა უ ხმოვნის წინ ვ. და თუ დღეს პოემის გამოცემებში ვ პრეფიქსს უ-ს წინ წერენ, ეს მხოლოდ იმითაა გამართლებული, რომ თანამედროვე მკითხველს გავუადვილოთ ტექსტის წაკითხვა, თავიდან ავიცილოთ ორაზროვნება.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს სრულად აღვნუსხოთ „ვეფხისტყაოსნის“ ენის ყველა თავისებურება. ზოგიერთი ენობრივი ფაქტის აღნიშვნით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა რუსთაველის ენის კავშირი როგორც ძველ, ისე ახალ ქართულთან, გვეჩვენებინა მისი გარდამავალი ხასიათი.

რუსთაველი ქართული სიტყვის აღიარებული ოსტატია. მისი დიდი ოსტატობა, ქართული ენის ღრმა ცოდნა ყველაზე სრულად მის სიტყვათწარმოუბაში ვლინდება. მოქმედი ენობრივი ნორმის ფარგლებში, მოქმედი გრამატიკული საშუალებებით რუსთაველი ქმნის ნაირ-ნაირ ლექსიკურ ერთეულებს, ზმნისა და სახელის მოულოდნელ, უჩვეულო ფორმებს, ამდიდრებს და ალამაზებს ქართულ ენას. მაგალითად, სიტყვიდან **ხე** რუსთაველი აწარმოებს ზმნათა ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ჰხენ (შენ ასეთნი ხენი ვინ ჰხენ. 588,1), უხებს (ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს. 625,1) მახია (ალვა მარგო, მომრწყო, მახია. 706,1). იხოს (პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს. 658) და სხვა.

მრავალი სიტყვა, მრავალი ფორმა რუსთაველის შემდეგ დაკანონდა ქართულ მწერლობაში, რუსთაველმა მისცა მათ ცხოვრების საგზური. მის ყალიბზე იჭრებოდა მომდევნო საუკუნეებში ქართველ სიტყვის ოსტატთა ენობრივი ფორმები და მხატვრული სახეები.

რვაასი წელი გვაშორებს ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისაგან. რვა საუკუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ქართულ ენაში. მაგრამ არ მოძველებულა რუსთაველის ენა, „ვეფხისტყაოსანს“ მკითხველი არ მოჰკლებია, იგი დღესაც გვხიბლავს და გვაჯადოებს დარბაისლური, ტკბილი ქართულით.

**გ. კარტოზია.**

# ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს...

წინავე კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდაზე, ამ ოცნების განხორციელება კი მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში გახდა შესაძლებელი.

ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი და მეტად საპატიო კომპონენტია პიროვნების ესთეტიკური განვითარება, რაც პირველ რიგში გულისხმობს ადამიანის მხატვრული გემოვნების აღზრდას, სამყაროსადმი გარკვეული ესთეტიკური დამოკიდებულების გამომუშავებას.

დიახ, — ჭეშმარიტად მშვენიერი და ამაღლებული უნდა იყოს ადამიანი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მშვენიერ, ამაღლებულ, კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს!

რას ნიშნავს სამყაროსადმი დამოკიდებულება, მისი ესთეტიკური ასახვა? ეს ნიშნავს სამყაროსადმი სილამაზის, მშვენიერების საზომით მიდგომას, სამყაროს მშვენიერების აღქმას, მშვენიერების ძებნას, მშვენიერებისაკენ სწრაფვას, ყოველივეს სილამაზის კანონების მიხედვით გარდაქმნას. ცხადია, სილამაზეს, მშვენიერებას არა აქვს ვიწრო, შემოზღუდული არე, მშვენიერების ძიება ცხოვრების ერთ რომელიმე უბანში არ ხდება, მშვენიერება ყველგან არის და, რაც მთავარია, ყველგან უნდა იყოს!

დიდი რუსი მოაზროვნე, რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. გ. ჩერნიშევსკი ცხოვრების მშვენიერებას, პირველყოვლისა, ცხოვრებაში ეძებდა, მშვენიერების საზომად თვით ცხოვრება, სიცოცხლე მიაჩნდა, ოღონდ ისეთი, როგორზედაც ჩვენ ვოცნებობთ, როგორიც ჩვენ გვინდა იყოს იგი, როგორიც შეიძლება რომ იყოს იგი, თუკი ადამიანები ამაზე იზრუნებენ. ცხოვრებაში ლამაზი უნდა იყოს ყოველი კუნჭული. ამისათვის აუცილებელია, რომ ადამიანს გააჩნდეს სილამაზის განცდის უნარი. სილამაზის გვერდით უფრო მახინჯად გამოჩნდება ყოველივე, რაც ხელს უშლის და ჩრდილავს მშვენიერებას. მშვენიერების წვდომის, მისი განცდის უნარი დაგვრაზმავს ცხოვრების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ საბრძოლველად და ცხოვრებას გარდავქმნით სილამაზის, მშვენიერების კანონების შესაბამისად.

რა არის საჭირო მშვენიერების განცდისათვის, წვდომისათვის, გაგებისათვის? — მხატვრული გემოვნება! ყოველ ადამიანს უნდა გააჩნდეს მხატვრული გემოვნება საზოგადოების ვალია ამ მხატვრული გემოვნების აღზრდაზე ზრუნვა, მისი ჩამოყალიბება.

მხატვრული გემოვნება ცალკეული ადამიანის თვისებაა. მხატვრული გემოვნების მიხედვით ადამიანები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან: მაგალითად, ზოგს წითელი ფერი უყვარს, ზოგს — შავი, ზოგს მთის პეიზაჟი ზღვისას ურჩევნია...

მიუხედავად გემოვნების სუბიექტურობისა, იგი მაინც სრულიად გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ყოველი ადამიანი, რაგინდ თავისებურიც არ უნდა იყოს იგი, გარკვეული საზოგადოების წევრია, მისი ადამიანობის კრიტერიუმი ანუ საზომი სწორედ საზოგადოების წევრობაა. საბჭოთა მოქალაქის ღირსებაა მისი მორალური სახე, ანუ მისი დამოკიდებულება საბჭოთა საზოგადოებრიობისადმი, ე. ი. ის—თუ რამდენად განსაზღვრავს ადამიანი თავის მიზნებს, ინტერესებს, მისწრაფებებს საზოგადოების მიზნებით, ინტერესებითა და მისწრაფებებით. ადამიანი იმით განსხვავდება ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან, რომ იგი, პირველყოვლისა, სოციალური ანუ საზოგადოებრივი წევრია. ცხადია, საზოგადოებრიობა ადამიანის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური სრულყოფის განმსაზღვრელიცაა და კრიტერიუმიც. ამიტომ ადამიანის მხატვრული გემოვნება ანუ სილამაზის გაგება იმ საზოგადოების მსოფლმხედველობით იქნება აღზრდილი და განპირობებული, რომელშიც იგი იმყოფება. ამდენად, პიროვნების მხატვრული გემოვნება მაინც არ არის მხოლოდ მისი საკუთარი გემოვნება, ეს არის ცალკეულ პიროვნებაში საზოგადოებრივი, კლასობრივი გემოვნების პირობითად სპეციფიკური გამოვლინება.

ჩვენი მხატვრული გემოვნების წყარო —ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ქვეყნის სინამდვილეა. ჩვენს მხატვრულ გემოვნებას აყალიბებს ცხოვრება, რომლის აუცილებელი ნაწილებია ადამიანი, მშობელი, სკოლა, საწარმოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ. ამდენად, მხატვრული გემოვნება ძალიან დიდად არის დამოკიდებული ადამიანის გონებრივი მუშაობის უნარისაგან. სრულიად მიუღებელია იმის მტკიცება, რომ გემოვნება მხოლოდ ინტუიტური ნიჭია. მართალია, ზოგ ადამიანს უფრო მეტად აქვს მხატვრული გემოვნება განვითარებული, ზოგს უფრო ნაკლებად, რაშიც თანდაყოლილ უნარს აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ უფრო დიდი წვლილი გონებისა, შრომისა და აღზრდისაა.

„მომწონს“ და „არ მომწონს“ „მსიამოვნებს“ (მხედველობაში გვაქვს ესთეტიკური ტკბობა და არა, მაგალითად, გემრიელი საჭმლისაგან მიღებული სიამოვნება). მხატვრული გემოვნების გამოვლინებაა, მაგრამ არ შეიძლება ამ „მხატვრული განაჩენის“ გამოტანა უვიცობისა და უწიგნურობის ნიადაგზე. ზოგს, „არ მოსწონს“ კლასიკური მუსიკა. განა შეიძლება ამან რაიმე ჩრდილი მიაყენოს ბეთჰოვენს, მოცარტს, ცხადია არა! განა მას, ვისაც „არ მოსწონს“, შესწევს უნარი აგვიხსნას, თუ რატომ არ მოსწონს? არა! რადგან კლასიკური მუსიკა ჭეშმარიტი ხელოვნებაა, ჭეშმარიტი მშვენიერებაა. მან საუკუნეებს გაუძლო და არც არასოდეს არ დაკარგავს თავის ღირებულებას. იგი მუდამ იქნება მუსიკალური ხელოვნების საზომი. მაგრამ ვიღაცას „არ მოსწონს“ იმიტომ რომ არ ესმის. მას არც ბრუბეკი მოსწონს, არც გარნერი, არც ელა ფიტცჯერალდის სიმღერა. მაგრამ ამაში არ გამოტყდება, რადგან ესენი „მოდურები“ არიან, რადგან ამ მუსიკოს-იმპროვიზატორებით ძალიანაა გატაცებული ახალგაზრდობა. ამ წუნიამ არ იცის, რომ შოპენის გვერდით შეიძლება გერშვინსაც მოუსმინო. კარუზოს გვერდით ჟაკ ბრელმაც განგაცდევინოს ესთეტიკური ტკბობა, რომ თანამედროვე კომპოზიტორები რაველი, სტრავინსკი სრულიად არ წარმოადგენენ კლასიკური მუსიკის უარყოფას. ესენი კლასიკურ მუსიკაზე აღზრდილი კომპოზიტორებია, რომელთა შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა XX საუკუნის მაჯისცემა.



კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდია გატაცება ჯაზური მუსიკით, მაგრამ მოწინავე ინტელიგენცია არც იქ ივიწყებს კლასიკურ მუსიკას. საბჭოთა მეცნიერთა დელეგაციის წარმომადგენლები ა. შ. შ. მოგზაურობის შემდეგ აღნიშნავდნენ, რომ კაკაფონია და ჯაზი რესტორნებისა და კაფეების მონოპოლიაა, ხოლო იმ მეცნიერთა თუ ხელოვნების წარმომადგენელთა ოჯახებში, რომლებთანაც ჩვენს მეცნიერებს უხდებათ ურთიერთობა, მუდამ გაისმის ნაზი, ჩუმი, მაგნიტოფირზე ჩაწერილი კლასიკური, უკვდავი მუსიკა. ასე, რომ თუკი მაინცდამაინც მიბაძვა გვსურს, მივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაძოთ მოწინავეს, პროგრესულს, ხოლო მეორეხარისხოვანს სათანადო ადგილი მივუჩინოთ. ნუ შეგვეშინდება ვაღიაროთ, რომ ლუი ამსტრონგისა თუ ელვის პრესლის ჩახრენწილ ნახევარსიმღერას დავით გამრეკელისა და ზურაბ ანჯაფარიძის სიმღერა სჯობს.

არ იფიქროთ, ამით თანამედროვე ხელოვნების წინააღმდეგ გამოვდიოდე. არა! მე მხოლოდ მსურს შეგახსენოთ, რომ მეტი დაფიქრება და კრიტიკული მიდგომაა საჭირო.

უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენელი თანამედროვე ცეკვებს, მათ რიცხვში „ტვისტსაც“ ძალიან უარყოფითად შესცქერის და სილამაზის არავითარ ელემენტს არ ხედავს მასში. მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენი შვილები ძალიან მშფოთვარე ეპოქაში ყალიბდებიან. ისინი უდიდესი ტექნიკური ძვრების მოწამენი არიან, მათ თვალწინ კოსმიური სისწრაფით ვითარდება ქვეყანა. და განა ასეთი ეპოქის შვილებს შეუძლიათ ძველფეოდალური „მენუეტით“ ან თუნდაც ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების „ტანგოთი“ დაკმაყოფილდნენ. არა! დღეს „ტვისტია“—ჩქარი რიტმი, დინამიკა! მაგრამ „ტვისტი“ ლამაზიც არის და მახინჯიც. სამწუხაროდ, ჩვენი გოგონები და ბიჭუნები, ძირითადად, „ტვისტის“ პაროდიას ცეკვავენ, მისთვის დამახასიათებელი რიტმი და დინამიკა კონვულსიებში გადაჰყავთ და ყოველგვარ სიმშვენიერეს აცლიან. ასე ხომ ყველა ცეკვის, თვით უდიდესი „მენუეტის“, დამახინჯება და ვულგარიზაცია შეიძლება!?

ახალგაზრდების შეკრების დროს დავკვირვებივარ: „ძალიან მოდური“ ბიჭები ტვისტის ცეკვისას თავით იატაკს ეხებიან და ძალზე არასასიამოვნო პოზას ღებულობენ, გოგონები უხერხულ, ზოგჯერ შეურაცხყოფილ მზერას არიდებენ მათ, თუმცა არავითარ შემთხვევაში ამას აშკარად არ იტყვიან და ცეკვის დამთავრების შემდეგ ტაშსაც უკრავენ...

VI კურსის ერთმა სტუდენტმა განაცხადა, — გუშინ ქორწილში ვიყავი და ქართულმა ცეკვებმა თავი მომაბეზრა, რადგან ძალიან მეჯავრებაო. ჩემო კარგო გოგონებო და ბიჭუნებო! — გეშინოდეთ ასეთი გემოვნების გავლენისა! ვისაც თავისი ერი, თავისი მშობლიური კულტურა არ უყვარს, მას არაფრის გაგების უნარი არა აქვს. გიყვარდეს შენი ახლობელი, ხალხური, მშობლიური, — აი, გზა და ხიდი კაცობრიობის კულტურის გაგებისაკენ! სულ სხვა საქმე იქნებოდა, იმ სტუდენტს რომ ეთქვა: ზომას გადააჭარბეს და მომბეზრდაო, რუსული ცეკვაც მინდოდა და ევროპულიცო. მაგრამ, არა — მეჯავრებაო! და, როცა ამხანაგებმა შეუტიეს, — რა ვქნა მეჯავრებაო, — გაიმეორა. განა ცეკვა მარტო მოტორული მოძრაობაა? ყოველ ცეკვაში ეპოქის, მისი შემქმნელი ხალხის სული ჩანს. ყოველი ქართული ცეკვა ჩვენი ხალხის სულიერი მდგომარეობის მხატვრული გამოსახვაა. ვაჟკაცური ტემპერამენტით, შემართებით შესრულებულ ცეკვებში აღიქმება ქართველთა თავდაცვითი ომები „(„მხედრული“, „ხორუმი“), ცეკვა „ქართული“ ასახავს ქალის სინაზეს, კდემამოსილებას, სიდარბაისლეს, თავდაჭერას, ვაჟის ცეცხლოვან სიყვარულს. ვაჟკაცი ბობოქრობს ნაზი ასულის გარშემო, ყოველ მის მოძრაობაში მოწიწება და პატივისცემაა, იგი შორიდან ეთაყვანება თავის სატრფოს, შორიდან ეალერსება მას, ახლოს არ ეკარება, ეშინია — შეხებით შეურაცხყოფა არ მიაყენოს და ისიც იცის, რომ ქალი არ მისცემს სითამამის უფლებას. არ არის არც ერთი ქართული ცეკვა, სადაც ვაჟი მჭიდროდ უახლოვდებოდეს ქალს, ეტმასნებოდეს, ხელით ეხებოდეს მას. „მხედრულში“ ქალის მანდილი!? განა ეს მშვენიერება ცოტას ეუბნება მაყურებელს! განა ეს არ არის ლამაზი ილუსტრაცია იმისა, რომ სინაზე, სიფაქიზე, ზრდილობა, ქალის პატივისცემა და თაყვანისცემა ვაჟკაცობის აუცილებელი ატრიბუტები, უფრო ხაზგამსმელი და დამამშვენებელია!?

**ნ. ზოდელავა**

(დასასრული შემდეგ ნომერში)





# მე მიყვარს

მე მიყვარს ზაფხული, ზამთარი,
ფეხმალი ირემი დამფრთხალი,
პირქუში ტბა პალიასტომი,
კლდის ქიმზე
ხარ-ჯიხვის ნახტომი;
ანკარა, მჩქეფარე მდინარე,
ციცაბო კლდეს გადმომდინარე,
ჩხერმელას ქვიანი ჭალები,
ვარსკვლავნი—ლურჯი ცის ხალები...

მე მიყვარს ტეხურას ტალღები,
ბაღები—სავსენი ბალღებით,
მთის ცვარი—
ვით ბროლის თვალები...
სამშობლოვ, შენ გენაცვალები!

**ნუგზარ კოპერიძე,**
**თბილისის მე-8 საშ. სკოლის**
**IX კლ. მოსწავლე.**

# კოკორი

დილა იყო, ალისფერი ღრუბლები თავიანთ ფერს იბრუნებდნენ. პარკის ჭიშკარში ცქრიალა, თვალეუუუუნა გოგონა გამოჩნდა. მას თვალები ცისფერი ჰქონდა, ქერა კულულები კი მხრებზე ჩამოშლოდა და ერთობ კარგ შესახედავს ხდიდა. უცბად, მისი თვალები ყვავილს მიაჩერდნენ. უჰ, ყვავილი-მეთქი! ის ხომ ჯერ კოკორი იყო, მაგრამ მაინც ლამაზი და მიმზიდველი კოკორი!..

— რა მშვენიერია, — გაიფიქრა გოგონამ და მისკენ დაიხარა, შემდეგ დასწვდა, მოგლიჯა. გოგონას მოეჩვენა, თითქოს რაღაცამ დაიკვნესა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, კოკრიანად სახლისკენ გაიქცა...

აქოშინებული შევარდა ოთახში, კოკორი ჭიქაში ჩადო, დიდხანს უყურა, შემდეგ კი წკრიალა ხმით დაიძახა:

— ბებო!

— რა იყო, ბებო გენაცვალოს?!

— ნახე, რა მოგიტანე!

ბებიამ კოპები შეიკრა და ჰკითხა:

— სად მოწყვიტე?

გოგონამ თავი ჩაღუნა და ძლივს ამოღერღა:

— იქ, გაზონებში.

— რატომ, განა შენ არ იცი, რომ გაზონებში ყვავილის მოწყვეტა არ შეიძლება? ეგეც რომ არა, ეს ხომ ჯერ გაუშლელი კოკორია, აი, დახედე ღეროზე.

გოგონამ ფართოდ გახელილი თვალები ღეროს მიაპყრო, მასზე წვრილი ცვრის წვეთები მარგალიტებივით მიმობნეულიყვნენ.

— ტირის, ჰო, შვილო, შენ ხომ მას სიცოცხლე მოუსწრაფე, ჯერ კიდევ პატარას და გაუშლელს.

კოკორის ცრემლებს გოგონას ცრემლებიც დაეპკურა. საწყალი კოკორი!

უცებ გოგონას თავში რაღაც აზრმა გაუელვა. დასტაცა ხელი კოკორს და კიბეზე დაეშვა... პარკში შევიდა, მიუახლოვდა ობლად დარჩენილ ღეროს, რომელსაც ცრემლები სდიოდა. გოგონამ კაბიდან ძაფი გამოიძრო, ღეროს მაგრად შემოახვია და აკანკალებული ხელებით კოკორს დამაგრება დაუწყო...

— ჰაიტ, შე ცუღლუტო, ყვავილს სწყვეტ, ხომ! — მეხივით გაისმა მებაღის ხმა.

გოგონა შეკრთა და ალვის ხესთან აიტუზა. მოხუცი გოგონას მიუახლოვდა, თავზე ხელი დაადო და ცრემლჩამდგარ თვალებში ჩახედა.

— ეს რა გიქნია, — ჰკითხა მან. გოგონამ ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო.

— მე, მე მოვწყვიტე, და ახლა მიწებება მინდოდა, — თქვა მან სლუკუნით.

გოგონა მწარედ ატირდა. მებაღე კეთილი კაცი იყო, შეეცოდა გოგონა, მოხვია ხელი და სათბურისაკენ წაიყვანა. სათბურში მრავალი ყვავილი იყო.

— აჰა, წაიღე და იმ კოკრის სანაცვლოდ ჩარგე.

გოგონა გახარებული დასწვდა ყვავილის პატარა ქოთანს. შემდეგ გულმოდგინედ მოთხარა მიწა და ნერგი ჩარგო. წამოდგა, შეხედა თავის ნამუშევარს, ეამა, გული სიამაყით აუჩქროლდა. მადლიერი თვალებით მოხედა იქვე მდგომ მებაღეს და სახლისკენ გაქუსლა. თავში კი ერთი აზრი უტრიალებდა:

— ყოველდღე წყალს დავუსხამ... ჩემი ყვავილი ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი გაიზრდება... მაგრამ ის კოკორი?

რამაზ შენგელია,
თბილისის პირველი საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე.



# მეც შენ გიმღერი

ჩემო მამულო—მოღაღანე იალაღებო,
ამწვანებულო ბაღ-ბოსტნებო, ლურჯო მინდვრებო,
სამგორის ველო, ლამაზო და ბარაქიანო,
თვალუწვდენელო კახეთის ზვრებო.

შენს თბილ აკვანში იზრდებოდნენ შენი შვილები—
შოთა, ილია, აკაკი და გალაქტიონი,
ისე სპეტაკნი, ისე დიდნი, ისე ძლიერნი,
როგორც ჭაღარა კავკასიონი.

ჩემო სამშობლოვ, საყვარელო დედა-სამშობლოვ,
მეც შენ გიმღერი,—ჩემთა აზრთა წმინდა სალაროვ,
დიდების გზაზე მიმავალო, ზეცანათელო,
ერთ ძმურ ოჯახში ანთებულო დიდო ლამპარო!

ჭიდაობა

ზაალ დუჩიძე,
87-ე საშ. სკოლა, VIII კლასი.

მზია ბურჯალიანი,
ცაგერის რაიონის ორბელის საშ. სკოლის
VI კლასის მოსწავლე.

# მომერიდა... ფრესკები

წითელი ფოთლები იყო, მეჩხერი ტოტები იყო, იყო ტაძარი ატენისა, და ჩქარი, პატარა, ანკარა ტანა. ათასნაირი კენჭი იყო ტანას ნაპირზე, ლოდებიც იყო, დიდი ლოდები და ოცნებები სხვადასხვანაირი. მჩქეფარე წყალში ოდნავ შეჭრილ ლოდზე ვიჯექი და მაღლა ატანილ ატენის სიონს ავყურებდი. ტაძარი დიდებული იყო. წითელ ფოთლებს შორის მოჩანდა ტყვიისფერი ღრუბლები, მოწითალო ქვები ტაძრისა და ჯვარი, ზეცისკენ ამართული ჯვარი. ვდგები, ვწყვეტ ცეცხლმოდებული ალუბლის ტოტებს და ზევით ავდივარ.

შევდივარ დაბალ კარებში და... სულ სხვა გარემო, სულ სხვა გრძნობები. ხმამაღალი ლაპარაკის მეშინია, არა, კი არ მეშინია, მერიდება, ვჩურჩულებ — რაზე?! — მადლიან ხუროთმოძღვარსა და მხატვარზე. ვჩურჩულებ და ვუვლი დროჟამისაგან ალაგ-ალაგ ჩამონგრეულ კედლებს. კუთხეში ასომთავრულით გამოყვანილ წარწერას ვუკვირდები. ცოტა რამ გავიგე: ლაპარაკი ბუღა თურქის შემოსევაზეა. კითხვის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ასომთავრული უშნოდ ამოფხაჭნილმა მხედრულმა დაფარა: „აქ ვიყავით გალია და ვალიკო. 1963 წ.“ მინდოდა მეყვირა, მეყვირა ხმამაღლა, მაგრამ მომერიდა, — ვის?! უტყვი, მაგრამ მაინც მრავალისმთქმელი ქვებისა და ფრესკების...



მანანა ხელაია,
თბილისის I-ლი საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე.



ფეხბურთი

ზაალ დუჩიძე,
87-ე საშ. სკოლა,
VIII კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.036

## დედა

შენ ჩემს გულისთქმას დარაჯობ მუდამ,
ჩემი ოცნების ზღუდეებს არღვევ,
ო, ძლიერ მიკვირს,—
ვით იტევს გული
სიყვარულს, სითბოს,
სიცოცხლეს ამდენს.

შენი ღიმილით ვინთები თითქოს,
შენი სუნთქვით ვშლი ცხოვრების აფრებს...
და თუ მაგ თმებში ჭაღარა ფიფქობს—
გულში ხომ მაინც არ დაიზამთრებს.

დედა-შვილი

არჩილ ჯაფარიძე,
47-ე საშ. სკოლა, IX კლ.

## მირზა გელოვანი

მივდივარ ჩარგლის გზაზე და
არაგვის მეგებება ხმა,
ირგვლივ მთებია...
და მახსენდები შენ,
მღიმარი რომ გიყვარდა მთა...
ახლა კი ის მთები, შენ რომ გიღიმოდნენ,
მდუმარედ გაჰყურებენ გზას,
— სად არისო ჭაბუკი სვანი მონადირე,
ბავშვივით რომ შეჰღიმოდა ცას.

ხმას რომ იწაფავდა არაგვთან
მზეს რომ უმღეროდა „ლილეოს",
დაღლილ მთვარეს წრიაპს რომ აწვდიდა:
აღმართი გაიადვილეო.
თითქოს მე მკითხავენ შენს ამბავს ქედები,
მდუმარე ქედები, ღრუბლები რომ
ახურავთ ქუდებად.

ვერ ვეტყვი,—ვაითუ ვატკინო ამაყი გულები
და არ გაპატიონ შინ არდაბრუნება.

ნინო რამიშვილი,
თბილისის 51-ე საშ. სკოლის
X კლ. მოსწავლე.

[library stamp]

# დამშვიდობება

შემოდგომის დილა იდგა. ნაზი ყვავილები ნამში ბრწყინავდნენ. გარემო ათასფერ სამოსელში გახვეულიყო. ფრინველები სტვენით ადიდებდნენ ბუნების სიმშვენიერეს.

მოჯადოებულივით გავყურებდი ამ დიდებულ სურათს, მესმოდა მერცხლების ჟღურტული და ვგრძნობდი მათ გულისტკივილს — ვუთანაგრძნობდი ჩემს ფრთოსან მეგობრებს, რომლებიც ემშვიდობებოდნენ საყვარელ სოფელს, სადაც გაატარეს ზაფხული, სადაც შვილები დაზარდეს. ახლა კი მიფრინავენ შორს, ზღვების გადაღმა, და ვინ იცის — ამათგან რამდენს ეღირსება უკან დაბრუნება...

მერცხლები გუნდად აიჭრნენ ცაში, წრე მოხაზეს, შემდეგ დამშვიდდნენ და წყნარად გაფრინდნენ სამხრეთისაკენ.

— ნახვამდის! მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ, მეგობრებო! — შევძახე მე.

იმ ღამეს ლოგინში ვბორგავდი, სულ მერცხლებზე ვფიქრობდი და ვნატრობდი: — ნეტა ყველა, უკლებლივ ყველა მერცხალი დაბრუნდეს-მეთქი.

**ნუნუ კუჭუხიძე,**

**აბაშის რაიონის სოფ. ნაესაკოვოს საშუალო სკოლის VII კლ. მოსწავლე.**

**დამორჩილება**



**ფარნაოზ ჯაფარიძე,**
**62-ე საშ. სკოლა,**
**VII კლასი.**

# ისევ ბუტბუტებს წისქვილი

ძველი წისქვილი. თეთრწვერა ლაზარე. წისქვილი ბუტბუტებდა და მიყვებოდა ლაზარე ზღაპრებს.

იყო და არა იყო რა...

მაშინ ზამთარი იყო, გარეთ თოვდა. მერე გადაიღო და წვიმა წამოვიდა. ლაზარე კი ყვებოდა ზღაპრებს...

ზაფხული იყო, მერე შემოდგომა და... გავიდა ბავშვობა. წისქვილს კი ისევ ათოვს, აწვიმს...

ისევ ბუტბუტებს წისქვილი.

ზღაპრები?

ბლარ არის ბავშვობის ზღაპრები...

იყო და არა იყო რა...

ვინ?

თეთრწვერა ლაზარე.

**მარინე მიქაშავიძე,**
თბილისის I საშ. სკოლის
IX კლ. მოსწავლე.

# „ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრები

სად არ იყავი და რა არ ნახე,
მტკიცედ ებრძოდი ბედის ქარიშხალს...
თუ ერთხელ გძლიეს და დაგამარცხეს,
ეს ხომ ფარ-ხმალის დაყრას არ ნიშნავს!

იდექ ღალატით სავსე ქაოსში,—
გადმონთებული ფერმკრთალ მირაჟებს
და მარად უკვდავ „ვეფხისტყაოსნით“
ქედს არ იხრიდი მტრების წინაშე.

გადაასწარი წელთა ჰუნეებს,
შენი სიცოცხლე ახლად იწყება...
არ შეუძლიათ საუკუნეებს
„ვეფხისტყაოსნის“ გადავიწყება!

**რაულ ჩილაჩავა,**
ზუგდიდის რაიონი, სოფ. ძველი
აბასთუმნის საშ. სკოლის XI კლ. მოსწავლე.



დაბრუნება

**ირინე შარაშიძე,**
**რკინიგზის I საშ. სკოლა, VII კლასი.**

# ტიტა

ყელმაღერილო ტიტავ,
ასე ლამაზი რომ ხარ,
მაისში ჩვენთან მოხვალ,
შენი სტუმრობა მიყვარს,
შენი მაღალი ღერო,—
ცისარტყელების ფერო!

**მამუკა სალუქვაძე,**
თბილისის 126-ე საშ. სკ.
III კლ. მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმონ ჩიქოვანი



შალვა დადიანი რომ გარდაიცვალა, კონსტანტინე გამსახურდიამ მისთვის ჩვეული ლამაზი ფიგურალური გამოთქმით გამოხატა გულისტკივილი: თითქოს სატახტო ქალაქის ქუჩები დაცარიელდნენო.

მხატვრული სიტყვის ყოველი ჭეშმარიტი ოსტატის სიკვდილი სიცარიელის გრძნობას ბადებს უპირველესად.

სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებით თითქოსდა დაცარიელდა ის ფართო, მგზნებარე ლიტერატურული პოეტური წვის ატმოსფერო, რომელსაც ჩვენი საყვარელი პოეტი ავსებდა და განაგებდა.

დიდი ტრაგედია დატრიალდა სიმონ ჩიქოვანის თავზე. იგი სამყაროს, ბუნების მშვენიერების ხილვით ცოცხლობდა და ბოლო წლებში სწორედ ეს უძვირფასესი გრძნობა—მხედველობა დაკარგა.

სიმონ ჩიქოვანი რაინდული ბუნების ინტელიგენტი იყო და, ამ ტრაგიკული დანაკლისის განცდას გულში იმარხავდა, თოკავდა და გარეთ გამოსვლის უფლებას არ აძლევდა. იქნებ ჩუმად, მარტოობის ჟამს, თავის თავზე იმეორებდა იმ სიტყვებს, გურამიშვილზე რომ თქვა:

და შენ ამბობდი: საწუთრო მთელი
ჩემი თვალების გარეშე ჰყვავის.

პოეზია, საერთოდ, ლიტერატურა, მისი სულიერი და ფიზიკური არსებობის გვირგვინიც იყო და პირველადი პირობაც. ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობისას სრულ თავდავიწყებამდე მიდიოდა და განცდაში იძირებოდა. მისეული ემოციური გამა, ღრმა, პროფესიული მსჯელობა, დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ზუსტი ალღო და წრფელი პათოსი მთელი არსებით იპყრობდა და ატყვევებდა მსმენელს.

სიმონ ჩიქოვანის პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული დიდი ლიტერატურული ცოდნა და გატაცება. გულითადად და ინტერესით უსმენდა ყველას, ვისაც კი ლიტერატურასთან რაიმე საერთო ჰქონდა. შენიშვნაში ისეთ სიყვარულს ჩააქსოვდა და ისე ტაქტიანად გეტყოდა, რომ მართლაც გერჩია ბევრის ქება-შემკობას.

ამაღლებული განცდების, რთული და ლამაზი მეტაფორული აზროვნების პოეტი თანაბარი სიზუსტით ისმენდა თანამედროვეობისა და ისტორიული წარსულის რიტმს. მისი პოეტური კამერტონი გაუნელებლად თრთოდა და უჩვეულო ბგერებს, პოეტის სულის დრამატულ რხევას, სამყაროს მშვენიერების მუსიკას გამოსცემდა.

სიმონ ჩიქოვანი ჩვენი ჟურნალის გულითადი მეგობარი იყო. მისმა ნატიფმა სტრიქონებმა არა ერთხელ დაამშვენეს „პიონერის“ ფურცლები და ჩვენი მკითხველების გულისთქმას გაეხმაურნენ.

დიდმა პოეტმა და მოქალაქემ სამარადისო დიდება დაიმკვიდრა ქართველი ხალხის გულში.

ფილიპე გერიძე.

**ნოდარ კოჯლაშვილმა გასულ წელს, საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სავაჭრო გამოფენაზე, თეირანში გაიცნო პატარა ჰასანი. წერილში, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ავტორი გულთბილად მოგვითხრობს ჰასანთან დამეგობრებაზე.**

# ჰასანი

პატარა ჰასანს შავი თვალები ნაპერწკალივით უელავს, ხუჭუჭ თმას თეირანის ნაცრისფერი მტვერი შეზელია და ზღარბივით აბურძგნულა.

მის გათხუპნულ სახეს დიდი ხანია პირსახოცი არ შეხებია, ტალახის ლაქები კანის ფერს ისე შეზავებია, რომ თვალი აგიჭრელდება, ვერც კი გაიგებ, რა ფერისაა ჰასანი.

დაკონკილი პერანგი და შარვალი გაჟღენთილა ყველაფრით, რაც კი თეირანის ქუჩებში მოიძებნება, ხოლო ცხელი უთო რომ გაუსვა, ალბათ ისეთ სუნს აუშვებს, როგორიც თეირანის ბაზრის სანაგვე ყუთებს ასდით.

— ჰასან, დღეს ისადილე? — ვეკითხები.

— ნწ, არა, — მპასუხობს და საწყალობლად შემომცქერის.

— წადი, პირი დაიბანე და რაღაცას მოგცემ.

ჰასანი გარბის, გამოფენის აუზში ხელპირს იბანს და ისევ ჩემთან მორბის.

— ბატონო, დავიბანე! — მეუბნება ღიმილით.

ვაკვირდები. სახე ისევ ჭუჭყიანი აქვს.

— იჯექი აქ, ჰასან, — და ისიც ფეხმორთხმული ჯდება საქართველოს პავილიონში, ხალიჩაზე. მე კი მივდივარ და აზერბაიჯანის პავილიონიდან მომაქვს საპონი, რომელსაც საამო სურნელი ასდის.

— აჰა, ჰასან, საპონი! თავ-პირი ისე დაიბანე, რომ ბამბასავით თეთრი გახდე, — ვეუბნები და საპონს ვუწვდი.

ის მართმევს საპონს, ღრმად ყნოსავს რამდენჯერმე, თვალები უბრწყინდება და გარბის.

ირანელები, რომლებიც გამოფენას ათვალიერებენ, მეუბნებიან: ეგ მაწანწალაა, პირს კი არ დაიბანს, მაგ საპონს გაჰყიდის, ფულით ლავაშს კი არ იყიდის, ყომარს ითამაშებსო.

ჰასანმა დაიბანა, დაბრუნდა და საპონი გამომიწოდა. მე ვართმევ და იქვე ხალიჩის ქვეშ ვდებ.

— ჰასან, საპონი აქ იქნება ხოლმე, ყოველდღე ამ საპნით უნდა იბანო ხელ-პირი, — ვეუბნები და მზეზე მბზინავ თმაზე ხელს ვუსვამ.

ჰასანს ხორბლისფერი სახე აქვს და ძალზე მკვირცხლი თვალები, რომელნიც ერთგულებით შემომციცინებენ. მე ვიღებ ფულს, ვაძლევ ჰასანს და ვეუბნები:

— აჰა ჰასან, წადი და ისადილე.

მორცხვად მართმევს.

— ჰასან, ხვალ ისევ მოდი! — გავძახი. ჰასანი ფულიან ხელს მაღლა სწევს და ხალხის მორევში იკარგება.

ჰასანი ერთი იმ ათასთაგანია, რომლებიც თეირანის ქუჩების მკვიდრნი არიან. მათი საჭმელი ის არის, რასაც კეთილი ხალხი უწყალობებს ან თავიანთი შრომით მოიპოვებენ, საწოლი კი იქა აქვთ, სადაც დაუღამდებათ: ზაფხულობით ხის ძირი, ხოლო ზამთრობით — ჩაიხანები და სარდაფები, აგურის ქარხნის ქურები და აბანოები.

მეორე დღეს, გამოფენის კარის გაღებისთანავე, ჰასანი შემოვარდა და სიხარულით მომაძახა:

— სალამ ალეიქუმ, აღა! როგორ ბრძანდებით?

— გმადლობ, ჩემო ჰასან, თავად ხომ კარგად, — ვპასუხობ და ვხედავ: მის გაბრწყინებულ სახეზე რაღაც დიდი სიამოვნება აღბეჭდილა. დახეული შარვლის ჯიბეები გამობერილი აქვს: ეტყობა, რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს.

— რაო, ჰასან, ახალი ხომ არაფერია? — ვეკითხები. ჰასანმა აღარ დააყოვნა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და მწიფე ჭერმით გაივსო პეშვი, გამომიშვირა და მთხოვა:

— ინებეთ, ბატონო.

არ მინდოდა ჭერამი, მაგრამ მაინც გამოვართვი. მადლობა ვუთხარი.

შევექცევით ჭერამს. ჰასანი გამალებული ჭამს, ეტყობა, დღეს არაფერი უჭამია. შევცქერი და ვფიქრობ: რა იქნებოდა, რომ ჰასანსაც ევლო სკოლაში, სცმოდა სუფთა, დაუთოებული პერანგი და შარვალი. მაგრამ... ჰასანის ყოველდღიური ფიქრი და საზრუნავია — სად იშოვოს ლუკმა-პური, სად დაიძინოს...

ჰასანმა არ იცის მშობლიური ალერსი. მას მშობლები ყაზვინში დახოცვია და ლუკმა-პურის ძებნას თეირანის ახმაურებულ ქუჩებში ჩამოუყვანია. ის ქუჩის შვილია და ქუჩაა მისი მარჩენალი.

— ჰასან, — ვეკითხები, — აქ ხომ არის უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, რატომ არ მიდიხარ იქ?

— იმიტომ, რომ არავინა მყავს, — მიპასუხა და ხელი ჩაიქნია. ჰასანმა იცის, რომ უპატრონო ბავშვთა სახლში მოსახვედრადაც პატრონია საჭირო.

ჰასანი ყოველდღე ჩემთან არის. ყოველდღე ვაძლევ საჭმლის ფულს და ისიც ცდილობს რითიმე მასიამოვნოს, თითქოს მასპინძლობა უნდა გამიწიოს. ერთ დღეს ფუნთუშა მოიტანა, შუაზე გადატეხა და ნახევარი გამომიწოდა. მე, რა თქმა უნდა, მთელი ფუნთუშა მას შევაჭამე.

ჰასანი, ჩემი კეთილი მეგობარი, მათხოვარი არ არის, ის დადის თეირანის ქუჩებში და ეძებს სამუშაოს; მისი სამუშაო კი, აი, რა არის: დუქნები დაგავოს, ნაგავი გადაყაროს, ვიღაცებს გაეგზავნ-გამოეგზავნოს...

თეირანიდან ჩემი წამოსვლის დროც მოვიდა. ეს იცის ჰასანმა და დაღონებული შემომცქერის.

— ჩემო ჰასან, წერილს მოგწერ, მაგრამ... კითხვა რომ არ იცი? — ვეუბნები.

— მომწერე, მომწერე, მედუქნე იაჰიას წავაკითხებ, — მპასუხობს გახარებული ჰასანი. რა მისამართზე უნდა მივწერო ჰასანს წერილი, მას ხომ სახლი არა აქვს! ამას აღარ ვეუბნები, რომ გული არ ვატკინო.

შავ თვალებზე ცრემლი მოადგა. ვინ იცის, რას ფიქრობდა მაშინ ჩემი პატარა მეგობარი. იქნებ იმ წუთს მას გაახსენდა ჩემი მონაყოლი ქართველ პიონერთა ცხოვრებაზე და სწავლაზე, იქნებ მასაც უნდოდა... მაგრამ, ისევ თეირანის ხალხით სავსე ქუჩები, ისევ სამუშაოსა და ლუკმა-პურის ძებნა, ისევ თავში ხელის წამორტყმა, ისევ კეთილი ადამიანების იმედით ცხოვრება!..

— მშვიდობით, ჩემო პატარა მეგობარო, ჰასან!

**ნოდარ კოჯლაშვილი.**



# მშვენიერების საუნჯიდან

ვახტანგ ბახტაძე
კინორეჟისორი,
ხელოვნების
დამსახურებული
მოღვაწე.

# საუბარი მულტიპლიკაციაზე

ნახატი ფილმის პირველივე კადრების ეკრანზე გამოჩენისთანავე ერთბაშად გამოცოცხლდება ხოლმე დარბაზი. ეს ხომ ჩვეულებრივი ფილმი არ არის! და აი, მაყურებელს ებადება კითხვა: როგორ კეთდება ნახატი ფილმი?

ნახატი ფილმი, უმეტესად, ერთნაწილიანია, თუმცა ზოგჯერ იღებენ რამდენიმე ნაწილიან ან სრულმეტრაჟიან ფილმსაც.



მულტფილმის სახელგანთქმული გმირი თაგუნა „მიკი მაუსი".

ერთნაწილიანი ნახატი ფილმის სიგრძე 250-300 მეტრს უდრის, ეკრანზე მისი დემონსტრირება სულ რაღაც 9-10 წუთი გრძელდება. მიუხედავად ამისა, ასეთი ფილმის გადაღება ერთობ რთულსა და შრომატევად პროცესებს მოიცავს. ბევრმა არ იცის, რომ ამ ათწუთიანი სანახაობის შექმნას რამდენიმე ათეული მხატვარი და სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი ნახევარ წელზე მეტს უნდება.

მაგრამ, თავდაპირველად ასე როდი იყო.

ნახატ ფილმს მულტიპლიკაციურ ფილმსაც უწოდებენ. მულტიპლიკაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გამრავლებას.

მულტიპლიკაცია, როგორც კინოსანახაობის ერთ-ერთი სახეობა, ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, შემდეგ იგი ჩამოყალიბდა, როგორც ხელოვნების გარკვეული და თავისებური დარგი.

ადამიანის მუდმივმაძიებელი თვალი და გონება ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ლამობდა ჩასწვდომოდა სხეულთა მოძრაობის საიდუმლოებას, ცდილობდა ამ მოძრაობის აღბეჭდვას ნახატზე. და აი, ჩვენ ვხედავთ სიპ ქვას, რომელზეც პირველყოფილ მხატვარს მორბენალი ირემი გამოუსახავს (ნახ. 1). სწრაფი მოძრაობის გადმოსაცემად მხატვარს ირმისათვის ოთხის ნაცვლად გაცილებით მეტი ფეხი გამოუბამს.

მოძრაობის გადმოცემის ასეთივე ცდებს ვხედავთ როგორც ძველი ეგვიპტის, ასევე ძველი საბერძნეთის ხელოვნების ნიმუშებში, მაგალითად: სხვადასხვა სამკაულებზე შესრულებულ ნახატებში, სამარხთა მოხატულობებში, მრავალი სახისა და ფორმის ლარნაკებზე და სხვ. ყველა ზემოთმოყვანილი მაგალითი გვარწმუნებს იმაში, რომ მხატვარს გამოუხატავს მოძრაობის სწორედ ის თანმიმდევრული ფაზები (მომენტები), რომლებსაც შემდგომში მულტიპლიკაცია დაეყრდნო. მაშასადამე, ნახატის „ამოძრავების" ცდა, თვით მოძრაობის ანალიზის, ე. ი. ნაწილებად დაშლის ცდა, და მისი აღბეჭდვის სურვილი უძველესი დროის მხატვრებსაც ჰქონიათ.

XIX საუკუნის შუა ხანებში დიდი გავრცელება ჰპოვა ხელსაწყო-სათამაშომ, ე. წ. სტრობოსკოპმა. ეს იყო ღერძზე დამაგრებული მუყაოს დოლი (ნახ. 2). დოლის შიდა სიბრტყეზე დაკრული ქაღალდის ლენტზე გამოსახული იყო ადამიანის ან ცხოველის მოძრაობის თანმიმდევრული ფაზების (ცალკეული მომენტების) მთელი წყება (სერია), ადამიანი ან ცხოველი ასრულებდა გარკვეულ მოქმედებას,



ნახ. 1.

მაგალითად: ნელი, ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდიოდა ან მირბოდა, ანდა ხტოდა და ასე შემდეგ... ყოველი მომდევნო ნახატი (მათი რიცხვი, ჩვეულებრივ რვიდან თორმეტამდე მერყეობდა) წინა ნახატისაგან ოდნავ განსხვავდებოდა იმით, რომ გამოხატავდა მოძრაობის ახალ მომენტს. ყოველი ნახატის საპირდაპიროდ დოლის ზედაპირზე ამოჭრილი იყო ვიწრო და მოგრძო ფორმის ზოლები. როცა დოლს თვალთან ახლოს მიიტანდნენ, ამოჭრილ ზოლში გაიხედავდნენ და დოლს სწრაფად დაატრიალებდნენ ღერძის გარშემო, — იქმნებოდა მოძრაობის სრული ილუზია.



ნახ. 2.

ახლა განვმარტოთ, თუ როგორ ჰქმნიან ცალკეული სტატიური (უძრავი) ნახატები მოძრაობის შთაბეჭდილებას. საქმე იმაშია, რომ ეს მოვლენა განპირობებულია ადამიანის თვალის თავისებურებით, რასაც ზოგჯერ „მხედველობის მუდმივობას" უწოდებენ; როგორც ცნობილია, თვალის ბადისებრი გარსი დანახვის შემდეგ დანახულის შთაბეჭდილებას ინარჩუნებს 0,1 წამის განმავლობაში. მაშასადამე, თუ დრო ორ მხედველობითს შთაბეჭდილებას შორის არ აღემატება წამის 0,1-ს, მაშინ ეს შთაბეჭდილებები ერთმანეთს შეერწყმიან, ე. ი. გაერთიანდებიან.

ადამიანის თვალის მიერ შთაბეჭდილების „შენახვის" ასეთი უნარი შესაძლებელს ხდის ცალკეული ნახატები აღქმულ იქნან, როგორც მოძრაობაში მყოფი ერთი მთლიანი საგანი. ეს კი ხდება იმის გამო, რომ ვიდრე სტრობოსკოპში მოთავსებული ერთი ნახატი მოასწრებდეს გაქრობას ჩვენს შემეცნებაში, უმალ მომდევნო ნახატი იკავებს მის ადგილს, და ასე შემდეგ. მაგალითად, თუ გალვივებულ მუგუზალს სიბნელეში სწრაფად დავატრიალებთ, დავინახავთ უწყვეტ ცეცხლოვან წრეს.



ნახ. 3.

აი, უფრო საინტერესო მაგალითი: საერთო რვეულის პირველი ფურცლის ერთერთ კუთხეში დავხატოთ ადამიანის ან რომელიმე ცხოველის ფიგურა, გადავხატოთ იგი მომდევნო ფურცლების იმავე ადგილას თანდათანობით შეცვლილ პოზებში (ნახ. 4). დავკეცოთ რვეული, დავიკავოთ იგი მარცხენა ხელში და მარჯვენა ხელის ცერით გადავღუნოთ ის კუთხე, რომელშიც ჩვენი ნახატებია მოთავსებული. თუ ცერს ნელ-ნელა ავუშვებთ, მაშინ რვეულის გვერდები დაიწყებს სწრაფად ფურცვლას და ჩვენს თვალწინ ჩვენი დახატული კაცი თუ ცხოველი „გაცოცხლდება", ამოძრავდება. ასეთ მოწყობილობას მუტოსკოპი ეწოდება.

ცელულოიდის გამჭვირვალე ლენტის გამოგონებამ და კინოაპარატის შექმნამ შესაძლებელი გახადა ბევრად გადიდებულიყო ცალკეული, პატარა კადრებად ჩამწკრივებული სურათების რიცხვი, რამაც შექმნა დიდი პერსპექტივები ნახატების ეკრანზე ასამოძრავებლად. ხოლო კადრობრივი გადაღების მეთოდის მიგნებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა მულტიპლიკაციური ფილმის გადაღების პრინციპი, რაც კინოაპარატის სახელურის ერთხელ გადატრიალებით მხოლოდ ერთი სურათის (ერთი კადრის) გადაღებას ნიშნავს.

1907 წელს ამერიკელმა მხატვარმა სტიუარტ ბლეკტონმა პირველმა გამოიყენა გადაღების ეს მეთოდი, ხოლო პირველი მულტიპლიკაციური ნახატი ფილმი 1908 წელს შექმნა ფრანგმა მხატვარმა-კარიკატურისტმა ემილ კოლმა.

თუმცა, გარდა ემილ კოლისა, ნახატ ფილმებზე მუშაობდნენ სხვა ქვეყნებშიც: ინგლისელი არმსტრონგი, ესპანელი სეგუნდო დე შომონი, ამერიკელი უინძორ მაკ-კეი, გერმანელი პინჩევერი და სხვები. მაგრამ ემილ კოლის მიერ შექმნილი ფილმები სხვებთან შედარებით, უფრო სრულყოფილი და საინტერესო იყო.



ნახ. 4.

რუსული მულტიპლიკაციის პიონერად ითვლება მხატვარი და ოპერატორი ვლადისლავ სტარევიჩი.

სტარევიჩმა მსოფლიოში პირველმა შექმნა მოცულობითი მულტიპლიკაციური ფილმები.

რუსული მულტიპლიკაციური ხელოვნების განვითარებაში ვ. სტარევიჩს ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორიც თავის დროზე ფრანგ მხატვარ ემილ კოლს მიუძღოდა საზღვარგარეთული მულტიპლიკაციის შექმნასა და განვითარებაში.

საბჭოთა პერიოდში პირველი ნახატი ფილმი გადაღებულ იქნა მოსკოვში, 1924 წელს ი. მერკულოვის მიერ.

1936 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა კინოსტუდია „სოიუზმულტფილმი", რომელმაც თავი მოუყარა მულტიპლიკაციური ხელოვნების საუკეთესო ძალებს. ამჟამად ეს სტუდია უდიდესია ევროპაში და წელიწადში 80-85 ფილმს უშვებს. ამ სტუდიის მიერ გამოშვებული ბევრი ფილმი, ალბათ, თქვენც გინახავთ, მაგალითად: „კუზიანი კვიცი", „თოვლის დედოფალი", „უჩვეულო მატჩი" და სხვა მრავალი.

საბჭოთა მულტიპლიკაციური ხელოვნების განვითარებაში გარკვეული ადგილი უკავია ქართულ მულტიპლიკაციას, რომელიც ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა „სახკინმრეწვის" კინოფაბრიკაში (ასე ეწოდებოდა მაშინ თბილისის კინო-



ᲙᲐᲓᲠᲘ ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛᲘᲓᲐᲜ—
„ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“

სტუდიას). 1935 წელს დაწყებულ იქნა პირველი ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმის „არგონავტების“ გადაღება. ამ საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო რეჟისორი ვლადიმერ მუჯირი, ფილმის მთავარ მხატვრად მოწვეული იქნა ლადო გუდიაშვილი, მუსიკა დაწერა შალვა აზმაიფარაშვილმა.

ნახატი ფილმი „არგონავტები“ ასახავდა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის გრანდიოზულ სამუშაოებს. იგი იმდენად საინტერესო ნაწარმოები გამოდგა, რომ დღესაც სიამოვნებით უყურებს მაყურებელი.

ქართველ მულტიპლიკატორთა კოლექტივი თანდათან იზრდებოდა, იძენდა გამოცდილებას. 1937—39 წლებში მხატვარმა კ. ჭანკვეტაძემ რამდენიმე ფილმი დადგა, ჯერ ვ. მუჯირთან ერთად, შემდეგ კი — დამოუკიდებლად. ეს ფილმები იყო: „გაიძვერა“, „ნორჩი მსროლელი“, „რწყილი და ჭიანჭველა“.

1939 წელს ვლ. მუჯირმა დადგა პირველი ფერადი ნახატი ფილმი „ჩიორა“ (მთავარი მხატვარი მ. სეხნიაშვილი, ოპერატორები — ლ. კვალიაშვილი და ს. სპარსიაშვილი). ყველა ეს ფილმი გამოხატავდა გარკვეულ იდეას, ემსახურებოდა საბჭოთა ადამიანების, პირველ რიგში კი მოზარდი თაობის, სულიერი აღზრდის საქმეს.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში შეიქმნა ქართული მულტფილმები, რომლებიც მაყურებელთა გულში აღვიძებდნენ ვერაგ მტრებზე გამარჯვების რწმენას („გადააჭარბა“, „როცა ჰებელსი არ სტყუის“).

ომისშემდგომ წლებში გამოშვებული ნახატი ფილმი „გაზაფხულის სტუმრები“ მიძღვნილი იყო ომგადახდილი ქვეყნის ახალმშენებლობათა თემისადმი (სცენარი ვ. კარსანიძისა, რეჟისორი ვ. მუჯირი, მთავარი მხატვარი ა. კანდელაკი).

მაღალმხატვრულობით გამოირჩეოდნენ ორმოცდაათიან წლებში გამოშვებული ქართული ნახატი ფილმები; განსაკუთრებით აღსანიშნავია რეჟისორ ა. ხინთიბიძის „ჩხიკვთა ქორწილი“ და „მტრობა“, ვ. ბახტაძის „ხელმარჯვე ოსტატი“, „საყვირის შემდეგ“ (სცენარი ნინო ბენაშვილისა).

ქართულ მულტფილმებს ახლა უკვე არა მარტო საკავშირო ეკრანებზე, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც უყურებენ; რამდენიმე მათგანმა საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე პრემიებიც კი დაიმსახურა. ბოლო წლებში გამოშვებული ქართული ნახატი ფილმებიდან უნდა აღინიშნოს, „წუნა და წრუწუნა“ (რეჟ. ა. ხინთიბიძე, მთავარი მხატვარი ბ. სტარიკოვსკი), „გმირი ერთი საათით“ (რეჟ. შ. გედევანიშვილი, მთ. მხატვარი ნ. შალიკაშვილი), „ნარცისი“ (რეჟ. ვ. ბახტაძე, მხატვრები ი. სამსონაძე და ა. ნერსესოვი), „სათაგური“ (რეჟ. ო. ანდრონიკაშვილი, მთ. მხატვარი ნ. შალიკაშვილი), „მამაცი ვაჟი“ (რეჟ. სტარიკოვსკი, მხატვრები ვ. მელიქიშვილი, ზ. რაზმაძე, ი. სამსონაძე).

უკვე რამდენიმე წელია კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ნახატი ფილმების გარდა თოჯინურ ფილმებსაც უშვებს.

პირველი თოჯინურ-მოცულობითი ფილმი „ნიკო და სიკო“ რეჟისორმა შ. გედევანიშვილმა გადაიღო 1961 წელს. ამჟამად ასეთი ფილმების გადაღებაზე მუშაობს ამ საქმის ენთუზიასტი, თოჯინების თეატრის რეჟისორი კარლო სულაკაური („ძილისგუდა“, „ონავარი“).

ქართველი მულტიპლიკატორები ენერგიულად მუშაობენ ახალი ნახატი და თოჯინური ფილმების შექმნაზე, როგორც მოზარდი, ასევე უფროსი თაობის მაყურებლისათვის.

ახლა, როცა ჩვენ, მართალია მოკლედ, მაგრამ მაინც, გავეცანით მულტიპლიკაციური ხელოვნების განვითარების ისტორიას, უკვე შეიძლება გადავიდეთ ჩვენი საუბრის ძირითად საკითხზე: როგორ იქმნება ნახატი და თოჯინური ფილმები.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)



ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ:
ᲘᲮᲕᲘ „ᲓᲝᲜᲐᲚᲓᲘ“. ᲚᲔᲙᲕᲘ „ᲞᲚᲣᲢᲝ“
ᲓᲐ ᲫᲐᲦᲚᲘ—„ᲒᲣᲤᲘ“

# ჭკუის გამოცდა



(ინდური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. აღსასრულის ჟამი რომ მოუახლოვდა, ხელმწიფემ თავისთან იხმო შვილი, მისი ხელი მოხუც მრჩეველს ჩაუდო ხელში, და თან დაარიგა: ყველაფერი ისე გააკეთე ხოლმე, როგორც ეს გირჩევსო. მრჩეველს კი სიტყვა ჩამოართვა, რომ მეფისწულს მამასავით უპატრონებდა.

ამის შემდეგ, ხელმწიფემ მშვიდად განუტევა სული.

სულ მალე, ხელმწიფის შვილი ტახტზე აიყვანეს. გადიოდა დღეები, მოხუცი მრჩეველი ახალგაზრდა ხელმწიფის ერთგული იყო სულითა და გულით. ხელმწიფეც დიდ პატივსა სცემდა მრჩეველს და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ის ურჩევდა. სხვა კარისკაცები, ამას რომ ხედავდნენ, შურით გულზე სკდებოდნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორმე ჩირქი მოეცხოთ მრჩევლისათვის. რა ჭორებს არ უგონებდნენ მას! ყველანი ერთად ურჩევდნენ ხელმწიფეს, — მოხუცი მრჩეველი ახალგაზრდით შეცვალეო. ხელმწიფე კი მაინც არავის არ უგდებდა ყურს. იგი, წინანდებურადვე, ყველაფერს მოხუც მრჩეველს ეკითხებოდა.

მაგრამ ნათქვამია: წყალი წვეთ-წვეთობით ქვასაც კი გახვრეტსო. ხელმწიფეს მობეზრდა ყოველდღე ერთი და იგივეს მოსმენა, გადაწყვიტა, გამოეცადა კარისკაცები. ერთ დღეს მოიხმო მრჩეველი და საიდუმლოდ ესაუბრა. შემდეგ ხალხს გამოუცხადა, რომ მოხუცი მრჩეველი, სიბერის გამო, ამიერიდან დასასვენებლად მიდის, მის ადგილზე კი ახალგაზრდა მრჩეველია დანიშნულიო.

გავიდა რამდენიმე თვე. უკმაყოფილო არავინ იყო. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. კარისკაცები პირველ ხანებში ფხიზლობდნენ, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, ხელმწიფე ახალი მრჩევლის კმაყოფილიაო, დამშვიდდნენ და თვითნებობაც კი დაიწყეს. ხელმწიფეს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევდა და არც არაფერი ადარდებდა. სინამდვილეში, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, საიდუმლო მსტოვრები ყველაფერს ატყობინებდნენ, იცოდა, როგორ იყო მიშვებული საქმეები და როგორ თვითნებობდნენ ახალი მრჩეველიცა და კარისკაცებიც.

ერთხელ, ნადირობიდან რომ ბრუნდებოდა, ხელმწიფე დასასვენებლად ქალაქგარეთ, თავის ბაღში გაჩერდა, მებაღე მოიხმო, ერთ-ერთი მეძებარი ძაღლი აჩვენა და უთხრა:

— ამას შენ გიტოვებ, კარგად მოუარე, როცა დამჭირდება, შეგატყობინებ.

მებაღემ თავი მდაბლად დაუკრა და ძაღლი თავისთან წაიყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ხელმწიფესთან კარისკაცები შეიკრიბნენ, უცებ მას თავისი ძაღლი გაახსენდა.

— იმ დღეს, სანადიროდ რომ ვიყავი, მეაბლეს ძაღლი დავუტოვე, — უთხრა ახალ მრჩეველს, — წადი, ნახე როგორაა.

მრჩეველმა მაშინვე გასწია ბაღისკენ, მონახა მებაღე და ჰკითხა:

— როგორაა ხელმწიფის ძაღლი?

— კარგად, ბატონო. ლეკვები დაყარა.

მრჩეველი დაბრუნდა სასახლეში და, რაც შეიტყო, ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფეს გაეხარდა და ჰკითხა:

— რამდენი ლეკვია?

— ამაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაჰარაჯ!

მაშინ ხელმწიფემ თავაზიანად მიმართა:

— შეწუხდი და კიდევ წადი, ამაზეც ჰკითხე.

მრჩეველმა უკანვე მოქუსლა. მიუახლოვდა თუ არა მებაღეს, შესძახა:

— რამდენი ლეკვი ეყოლა ხელმწიფის ძაღლს?

— ხუთი, — უპასუხა მებაღემ.

მრჩეველმა მიირბინა სასახლეში და ხელმწიფეს მოახსენა პასუხი. იგი კვლავ შეეკითხა:

— რამდენია ხვადი და რამდენი — ძუ?

— ამაზე არაფერი უთქვამს, მაჰარაჯ!

ხელმწიფემ კიდევ უფრო თავაზიანად უთხრა:

— ძალიან გაწუხებ დღეს, მაგრამ ისევ უნდა წახვიდე და ჰკითხო, რამდენია ხვადი და რამდენი — ძუ.

საწყალი მრჩეველი კვლავ გაემართა მებაღისაკენ.

— სამი — ხვადია და ორი ძუ, — უპასუხა მას მებაღემ.

დაბრუნდა მრჩეველი და პასუხი გადასცა ხელმწიფეს. მას გაეხარდა და ჰკითხა:

— ხომ ვერ მეტყვი, რამდენი ლეკვი დადგება კარგი მეძებარი?

— ეს კი არ ვიცი, მაჰარაჯ, — უპასუხა მრჩეველმა.

ხელმწიფემ ისევ თავაზიანად სთხოვა წასულიყო და ესეც გაეგო. მრჩეველს სხვა რა გზა ჰქონდა, — ისევ მიადგა მებაღეს.

— ბატონო, ორი ხვადი და ერთი ძუ ლეკვი საუცხოო მეძებრები დადგებიან, — უთხრა მებაღემ, — დანარჩენები კი — ისე რა...

მრჩეველი დაბრუნდა სასახლეში და ყველაფერი მოახსენა ხელმწიფეს; მას ძალიან გაეხარდა.

— მაშასადამე, დღეს სამი მეძებარი შემომმატებია. მაგრამ კარგად კი კვებავენ ლეკვებს? ხომ არ იცი, რას აჭმევენ?

მრჩეველმა მიუგო, ეს არ ვიციო. მაშინ ხელმწიფემ ძალიან ალერსიანად სთხოვა:

— მაშ, წადი და ესეც ჰკითხე. ვაითუ, უჭმელობისაგან სუსტები გაიზარდონ.

საცოდავი მრჩეველი ისევ გაჩნდა მებაღესთან. მებაღემ უთხრა, რომ ლეკვებს, როგორც საჭიროა, ისე ჰკვებავს. მრჩეველმა ამაზეც მოახსენა ხელმწიფეს.

— ჩანს, მებაღემ იცის როგორ უნდა კვებოს ლეკვები, — თქვა ხელმწიფემ. — ძალიან გამახარებდი, თუ კიდევ მეტყოდი ზოგიერთ რამეს: კარგ ლეკვებში ხომ არ ურევია მურა ფერისა? ძალიან მიყვარს ეს ფერი.

ამდენ მისვლა-მოსვლაში მრჩეველს არაქათი გამოელია, მაგრამ რა უნდა ექნა, ხელმწიფის თხოვნა ხომ უნდა შეესრულებინა. მებაღისგან შეიტყო, რომ არცერთი ლეკვი არ იყო მურა ფერისა. დაბრუნდა სასახლეში და ესეც მოახსენა ხელმწიფეს.

ხელმწიფეს ეწყინა და ჰკითხა:

— მაშ რა ფერისანი არიან?

მრჩეველმა ვერაფერი ვერ უპასუხა.

მაშინ ხელმწიფემ უთხრა:

— მინდა ვიცოდე, რა ფერისაა თითოეული ლეკვი და, თუ ურევია მათში ერთი მაინც ისეთ ფერისა, რომ მომეწონოს.

მრჩეველმა უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, ერთხელ კიდევ მიადგა მებაღეს და მისგან პასუხი მოუტანა ხელმწიფეს. ხელმწიფემ მრჩეველს მადლობა უთხრა და შეწუხებისათვის ბოდიში მოუხადა.



ცოტა ხანი რომ გავიდა, ხელმწიფეს მოხუცი მრჩეველი გაახსენდა, ბრძანა მისი სასახლეში მოყვანა. მოხუცი მრჩეველი მყისვე გამოცხადდა. ხელმწიფე მას გულთბილად შეხვდა და მოიკითხა. ბოლოს, უთხრა:

— რაკი მობრძანდით, მოდი ერთი საქმეც გამიკეთეთ.

— თქვენთვის სამსახურს ბედნიერებად ჩავთვლი, — უპასუხა ყოფილმა მრჩეველმა.

— სულ ადვილი საქმეა. ქალაქგარეთ, მებაღესთან, ძაღლი დავტოვე, კარგი იქნება, თუ წაბრძანდებით და იმ ძაღლის ამბავს გამიგებთ.

მრჩეველი მაშინვე გაეშურა. მივიდა მებაღესთან, დაათვალიერა ძაღლიცა და მისი ლეკვებიც, —შეიტყო —რას აჭმევდნენ მათ. რაც ნახა, ჩაიწერა, რომ არ დავიწყებოდა, და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა სასახლეში.

— აბა, როგორაა საქმე? —ჰკითხა ხელმწიფემ.

— ყველაფერი რიგზეა. ძაღლს თურმე ლეკვები ეყოლა.

— ხომ ვერ მეტყვით, რამდენი ლეკვია?

— ხუთი, მაჰარაჯ!

— რამდენია ხვადი და რამდენი ძუ?

— სამი —ხვადია, მაჰარაჯ, ორი კი —ძუ.

ხელმწიფემ გამოჰკითხა, როგორ ჰკვებავდნენ ლეკვებს, რა ფერისა და როგორი ჯიშისანი იყვნენ. მოხუცი მრჩეველი ყველა კითხვაზე აძლევდა პასუხს. შემდეგ, ხელმწიფემ ბაღისა და მებაღის შესახებ დაუწყო გამოკითხვა, მოხუცმა მრჩეველმა მათზეც მოახსენა. მაშინ ხელმწიფე კარისკაცებს მიუბრუნდა და ასე უთხრა:

— თქვენ მირჩევდით, მოხუცი მრჩეველი დასასვენებლად გამეშვა და მის ნაცვლად ახალგაზრდა ამეყვანა, ახლა თქვენ თვითონ ხედავთ, ვინ უფრო ჭკვიანია ამ ორში.

კარისკაცებმა თავები ჩაღუნეს.

ხელმწიფემ მოხუცი მრჩეველი დააბრუნა თავის თანამდებობაზე და იმ დღიდან კვლავ მისი კეთილი რჩევით მართავდა სახელმწიფო საქმეებს.

თარგმნეს ბ. ნახუცრიშვილმა
და თ. სვინტიძემ.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

# თავშესაქცევი

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 1. წელიწადის პირველი თვე ძველქართულად; 3. სპორტის სახეობა; 5. ჩეხოსლოვაკური ავტომანქანა; 7. ცეცხლგამძლე სალარო; 9. სამშენებლო ქვა; 10. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 11. მტაცებელი ცხოველი; 13. ცნობილი უზბეკი მწერალი; 14. ბალახი; 15. კურორტი საქართველოში; 17. ტექნიკური მცენარე; 19. ქიმიური ელემენტი; 21. უარყოფითი ნაწილაკი ბერძნულ ენაში; 23. მწერი; 26. ცეკვა ოპერა „დაისიდან"; 27. ქალაქი ევროპაში; 28. უცხოური ფულის ერთეული; 29. საანგარიშო სახაზავი; 30. მცენარის ნაწილი; 32. ევროპული ცეკვა; 34. მოთხრობა „შეოთხე სიმაღლის" ავტორი; 35. არხი ევროპაში; 36. შინაური ფრინველი; 38. დამუხტული ატომი; 41. უცხო ქვეყანაში შესვლის ნებართვა; 42. ცხოველთა სამყარო; 44. მუსიკალური ტერმინი; 45. სახელმწიფო აზიაში; 46. ქალაქი გერმანიაში; 48. ქალაქი ინდონეზიაში; 50. გარეული ცხოველი; 51. ქედი საბჭოთა კავშირში; 52. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 53. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე.

**ვერტიკალურად:** 1. მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. მაჰმადიანთა რელიგია; 3. იტალიელი კომპოზიტორი; 4. ცნობილი ქართველი მწერლის სახელი; 5. ხის ჯიში; 6. მრავალწლიანი მცენარე, რომელიც ერთხელ ჰყვავის და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება; 7. ქუჩა თბილისში; 8. რკინიგზის სადგური დასავლეთ საქართველოში; 10. ძვირფასი ქვა; 12. ძველი ქართული გაზეთი; 15. ძველი ქართველი მწერალი; 16. ქართული მითოლოგიური ქალღმერთი; 18. სახელმწიფო აზიაში; 20. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 21. უდაბნო აზიაში; 22. პლანეტა; 23. ამერიკელი მხატვარი; 24. მავთულის დამამზადებელი ხელსაწყო; 25. წყლის ან ჰაერის ნაკადი; 30. ეროვნება; 31. ჰიდროტექნიკური ნაგებობა; 33. მდინარე ობის შენაკადი; 35. რუსი მხატვარი; 37. ნორვეგიელი მწერალი; 39. მხატვრის ხელსაწყო; 40. ქალაქი შვეიცარიაში; 43. სამკურნალო მცენარე; 44. ქალაქი საფრანგეთში; 47. დამხმარე თეორემა გეომეტრიაში; 49. წონის ერთეული.

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ თავსატეხზე






## მოტივტივე ნემსი

წყალში ჩაგდებული ნემსი სწრაფად იძირება. ეს არცაა გასაკვირი: ფოლადი შვიდჯერ მძიმეა წყალზე. მაგრამ თუ ნემსს თხლად წაუსვამთ ცხიმს და ფრთხილად, ჰორიზონტალურად ჩაუშვებთ წყალში, იგი არ ჩაიძირება, იტივტივებს.

ნემსის სიმძიმისაგან წყლის ზედაპირზე წარმოიქმნება ჩაღრმავება, რომელშიაც ნემსი ისე წევს, როგორც ჰამაკში. წყლის ზედაპირზე, როგორც საერთოდ ყოველი სითხის ზედაპირზე, მოქმედებს ეგრეთწოდებული ზედაპირული დაჭიმულობა. ზედაპირულ დაჭიმულობას იწვევს ზედაპირზე და მის ქვეშ მოთავსებული მოლეკულების ურთიერთ მიზიდულობა. წყლის ზედაპირი თითქოს თხელ, უხილავ აპკს წარმოადგენს. ეს აპკი საკმაოდ მტკიცე და დრეკადია იმისათვის, რომ გაუძლოს ნემსის ან სხვა მისი მსგავსი საგნების სიმძიმეს, ოღონდ ეს საგნები არ უნდა დასველდნენ; ამიტომ მათ ცხიმი უნდა წაესვას.

მაშ ასე, ნემსი ტივტივებს. თუ მას წყალში ჩაშვებამდე დაამაგნიტებთ, მისი ერთი ბოლო ჩრდილოეთისკენ იქნება მიმართული, მეორე ბოლო — სამხრეთისაკენ. მიიღებთ თავისებურ, მოცურავე კომპასს.

მოტივტივე ნემსის ახლოს დააწვეთეთ საპნიანი წყლის ერთი წვეთი. ნემსი მყისვე გადაადგილდება, თითქოს შეეშინდაო. ამ ცდის ჩატარებისას ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ თვითონ ნემსს კი არ გამოუცვლია ადგილი, არამედ წყლის ზედაპირი დაიძრა და მასზე მწოლიარე ნემსიც თან გაიყოლია. საპნიან წყალს, სუფთა წყალთან შედარებით, ნაკლები ზედაპირული დაჭიმულობა ახასიათებს. საპნიანმა წყალმა შეცვალა მოლეკულური ძალების ურთიერთშეფარდება ზედაპირზე, წონასწორობა დაირღვა, რის გამოც წყლის ზედაპირი ამოძრავდა.

ეს მოძრაობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ აღდგება ახალი წონასწორობა.

# ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა




„ჩემო პატარა მკითხველებო! გამომცემლობა „ნაკადულმა“ მთხოვა გაგაცნოთ თქვენი მშობლიური საქართველოს მეზობელი ქვეყანა, — მთაგორიანი სომხეთი, მისი დიდი ისტორიული წარსული, ბედნიერი აწმყო. ეს თხოვნა, ვიცი ყველა თქვენგანის თხოვნაა, ამიტომ სიამოვნებით მივიღე იგი, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო: ამ პატარა წიგნში ძნელია საუკუნეთა სიღრმეში ფესვგამდგარი სომეხი ხალხის წარსულის და მის აწმყოს გადმოცემა“. — ეს სიტყვები სომეხ მწერალს ს ტ ე ფ ა ნ ე  კ ა პ უ ტ ი კ ი ა ნ ს ეკუთვნის. მისი პატარა წიგნი „არარატის მთის ძირას“ ახლახან გამოვიდა ბაზარზე.

წაიკითხეთ ბავშვებო ეს წიგნი, იგი კარგი საგზური იქნება თქვენთვის ჩვენი მოძმე სომხეთის ისტორიისა და მისი აწმყოს შესწავლისათვის.

---

ოკეანე თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს. მას აქვს თავისი დაუწერელი კანონები. — არსებობისათვის ბრძოლა.

მაგრამ, ოკეანეში რომ იარსებო...

ერთი სიტყვით ამ წიგნის გმირები წყნარი ოკეანის უსაზღვრო სივრცის ბინადარნი არიან, ყველა მათგანს გააჩნია თავისი გარეგნობა და ხასიათი, უცნაურობა და სილამაზე, სიძნელე და სიკეთე.

„თეთრი ლოცმანი“ სწორედ ამ სიკეთეზე მოგითხრობს, სიკეთეზე, რომელმაც დაამეგობრა თეთრი ლოცმანი — დელფინი და ადამიანი.

---

„ის, რაც ამ წიგნში არის ნაამბობი, შესაძლოა, მართალი იყოს, შესაძლოა არც იყოს მართალი. მაგრამ ნუ გამკილავთ. როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე: ჩემი ხნის კაცს ტყუილიც კი დაეჯერება. რაკი ასეა, ნურც იმას მკითხავთ, ძველია თუ ახალი ყოველივე აქ მოთხრობილი. იქნებ ძველი და შორეული ამბავი იყოს, ჩემს თვალწინ მომხდარი, იქნებ სულაც არ მომხდარა და გონებამახვილმა კაცმა გამოიგონა ბრიყვთათვის ჭკუის სასწავლებლად“ — ამბობს მწერალი პ ო ლ ი ო  ა ბ რ ა მ ი ა თავისი წიგნის შესავალში, რომლისთვისაც „ზამთრის ღამის ზღაპარი“ დაურქმევია.

წაიკითხეთ ბავშვებო ეს ზღაპრები, მათში თქვენ ბევრ ჭკუისსასწავლებელ მაგალითს ამოიკითხავთ.

---

ს უ ლ ხ ა ნ  ქ ე თ ე ლ ა უ რ ი ს წიგნი „სამი ბიჭი“ მოგითხრობთ თქვენი კბილა ბიჭების თავგადასავალს. მათ მხოლოდ ერთი ზაფხული გაატარეს მთებში, მწყემსებთან, მაგრამ ბევრი რამ ნახეს, ბევრი რამ განიცადეს და მრავალი სახიფათო თავგადასავალი გარდახდათ თავს. მაინც, რა შეემთხვათ?... ამას, როცა წიგნს წაიკითხავთ, მაშინ გაიგებთ.

---

ბავშვებო, თქვენ ალბათ წაიკითხეთ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი, ვ. გოლიავკინის მოთხრობის „ჩემი კეთილი მამა“ ერთი ნაწილი.

ვ. გოლიავკინის მოთხრობებს თქვენ ხშირად შეხვდებით რუსულ საბავშვო ჟურნალებში „პიონერში“, „კოსტიორში“, „მურზილკაში“. ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა“ „ჩემი კეთილი მამა“ ცალკე წიგნად გამოსცა, აღსანიშნავია, რომ წიგნი თვით ავტორის მიერაა დასურათებული.





გაცვეთილი ჯაგრისი შეგიძლია სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენო, — მოაცილე შერჩენილი ჯაგარი და მის ადგილზე ლურსმნისათვის ორი ნახვრეტი გააკეთე, შემდეგ სახელური მდუღარე წყალში ჩაუშვი და იდოს, ვიდრე კარგად არ შერბილდება. მერე ბრტყელტუჩათი ისე მოღუნე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები, მიაჭედე სადაც გსურს და ტანსაცმლის საკიდი მზად იქნება.



რგოლებზე აცმული გასაღებების გროვა ჯიბით რომ არ ატარო, ამ ნახატის მიხედვით, შენს პატარა სახელოსნოში, ორი გასაღები შეგიძლია ერთ გასაღებად აქციო.



მოხრილ მილში მავთულის გატარება თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ნუ დაღონდები, აიღე კორპის პატარა (მილის დიამეტრზე პატარა) ნაჭერი და მავთულს თავში გამოაბი. მილის მეორე თავზე მტვერსასრუტი შეუერთე. ჰაერის ნაკადი კორპს შეისრუტავს და თან მავთულსაც გაიტანს მილში.



ხის ზესადგარის უპირატესობა ლითონის ზესადგართან შედარებით აშკარაა — იგი არ ხურდება და ამიტომ არც კვალს სტოვებს მაგიდის გალაქულ ზედაპირზე.



კედელში გამოჩრილი ლურსმნები, ცხადია, სულაც არ ამშვენებენ ოთახს. სურათის დასაკიდად ნუ იხმარ რამდენიმე ლურსმანს, — ამისთვის ერთი ლურსმანი სავსებით საკმარისია (დახედე ნახატს).

თუ გსურს ფეხსაცმელი კარგად გაპრიალდეს, გახდისთანავე გაწმინდე, თორემ ზედ შერჩენილი ჭუჭყი და მტვერი ტყავს ცხიმს აცლის და პეწს უკარგავს.

სველი ფეხსაცმელი ჯერ მშრალი ჩვრით გაწმინდე, მერე მცენარის ზეთი წაუსვი, ძველი გაზეთებითა და ქაღალდებით დატენე, სწორი ფორმა მიეცი, გასაშრობად გვერდზე დააწვინე. ფეხსაცმელს მზეზე ან ცეცხლზე ნუ გააშრობ, თორემ ფორმას დაკარგავს.

## ობსერვატორიაში

ერთმა კაცმა შესასვლელი ბილეთი წარადგინა პარიზის ობსერვატორიაში, სადაც მზის დაბნელებას უნდა დაჰკვირვებოდა.

— თქვენ ძალიან გვიან მობრძანდით, — უთხრეს მას.

— არაფერია, თქვენი დირექტორი ჩემი ძმაკაცია, ის ჩემთვის ხელახლა მოაწყობს ყველაფერს.

## გაკვეთილზე

ერთ მასწავლებელს ბავშვებისათვის ველოსიპედით სიარული უნდა ესწავლებინა. მან საკუთარი ველოსიპედი მიიტანა სკოლაში, მოსწავლეებს დაათვალიერებინა და შემდეგ იკითხა:

— კარგად შეხედეთ და საბურავები მიჩვენეთ. იცით რა არის შიგ?

ბავშვები ველოსიპედს გარს შემოეხვივნენ, რათა ხელით შეხებოდნენ მას.

— შიგ ბამბაა, — თქვა ერთმა.

— ზამბარაა, — თქვა მეორემ.

— ვერ გამოიცანით? — იკითხა მასწავლებელმა.

ერთი პატარა ბიჭუნა ცოცხლად მიიჭრა მასწავლებელთან.

— შენ რა, იცი?

— დიახ, ბატონო... შიგ ჰაერია.

— სწორია, ჩემო ბიჭუნავ, მაგრამ საიდან იცი?

—დანა ჩავურჭვე და საბურავიდან ჰაერის მეტი არაფერი გამოსულა.

## უჩვეულო კომბოსტო

მოგზაურობისას ერთი მეტად არაჩვეულებრივი კომბოსტო შემხვდა. ის სახლივით უზარმაზარი იყო და ათი ცხენიც ვერ დასძრავდა ადგილიდან, ყვებოდა ტრაბახა.

— მართლა? რა საოცარია, — უპასუხა ამხანაგმა, რომელმაც იცოდა, რომ მისი მეგობარი ტყუოდა. — მე, მე უფრო საოცარი რამ ვნახე.

— რა?

— ვეებერთელა ქვაბი, რომელშიც ათი ათასზე მეტი კაცი მოთავსდებოდა.

— ჰმ, საკვირველია, რად უნდათ ასეთი ქვაბი?

— იმ შენი კომბოსტოს მოსახარშად.

ფრანგულიდან თარგმნა
ნათელა შაქრიაშვილმა.



## მეორე მთვარე

საბჭოთა პროფესორი ჟიროვი, თავის წიგნში — „ატლანტიდა“, გადმოგვცემს ატლანტიკის ნაპირებზე მცხოვრები ერთ-ერთი აფრიკული ტომის თქმულებას იმის შესახებ, რომ ჩვენს პლანეტას ოდესღაც ორი მთვარე დაჰნათოდა; შემდეგ, ერთი მთვარე დედამიწაზე ჩამოვარდა და კატასტროფა გამოიწვია. ამ ლეგენდას მყისვე ჩაეჭიდნენ იმ აზრის მომხრენი, რომლის მიხედვითაც, ატლანტიდა მოულოდნელად ჩაინთქა ოკეანის უფსკრულში.

მეორე მთვარეც თუ არსებობდა ოდესმე, ამაზე აქამდე არავითარი მეცნიერული ცნობა არ მოიპოვებოდა. მაგრამ ამჟამად უკვე გამოჩნდა ასეთი ცნობები.

ცოტა ხნის წინ, არგენტინაში აღმოაჩინეს ცხრა მეტეორული კრატერი. ისინი ერთი მიმართულებით, თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე არიან განლაგებულნი. კრატერების გარშემო უამრავი წვრილი მეტეორიტი ყრია. თუმცა ყველა მეტეორიტი როდია პატარა. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, რამდენიმე ტონას იწონის. დადგინდა, რომ ეს მეტეორიტები 5 800 წლის წინ დედამიწაზე ჩამოვარდნილი კოსმოსური სხეულის ნამსხვრევებია.

შესაძლოა, ამ კოსმოსური სხეულის ნამსხვრევებია ის მეტეორიტებიც, რომლებიც ჩილიში აღმოაჩინეს და, თავიანთი შემადგენლობით, არგენტინაში ნაპოვნ მეტეორიტებს ჰგვანან.

კრატერების განლაგების მიხედვით დასტურდება, რომ ციური სხეული ძალზე ირიბ ორბიტაზე მოფრინავდა და, როგორც ჩანს, სანამ დედამიწაზე დაეცემოდა, რამდენჯერმე შემოუფრინა ჩვენს პლანეტას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი — მეორე მთვარე.

## ძაღლი — სამეფო ტახტზე

ძველ ეთიოპიაში მეფედ ზოგჯერ ძაღლს ირჩევდნენ და ყველაფერში მას ემორჩილებოდნენ. მაგალითად, ომის დაწყებას რომ განიზრახავდნენ, რჩევისთვის მეფეს ეახლებოდნენ. მეფე-ძაღლი კი, შესაძლოა, იმ დღეს არ იყო გუნებაზე: ღრინავდა, ღრღნიდა ოქროს ჯაჭვს... მაშასადამე, მეფეს ჭკუაში არ მოსდიოდა ომის ატეხა. ეთიოპიაში მსჯავრიც მეფის ტახტზე მჯდარ ძაღლს გამოჰქონდა... მიიყვანდნენ ბრალდებულს ტახტთან და, თუ მეფე კუდს გააქიცინებდა, ხელს მოულოკავდა დამნაშავეს, — იგი გამართლებული იყო, ხოლო თუ შეუღრენდა ან უკბენდა, — ბრალდებული უნდა დაესაჯათ.



## უძველესი წიგნი

როდის დაიწერა ყველაზე უძველესი წიგნი? იქნებ 2000 ან 3000 წლის წინ?

არა! ყველაზე ძველი წიგნი, რომელიც გათხრების დროს ერთ-ერთ სამარხში იპოვეს, 4500 წელს ითვლის, მას „პაპირუს პრისე“ ეწოდება და საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

## რა ვუყოთ თამბაქოს?

ამ ბოლო წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს თამბაქოს უდიდესი მავნეობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამან თავისი შედეგი გამოიღო: ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მცირდება თამბაქოს ნათესი ფართობები. თუმცა, ეს კულტურა ალბათ უფრო შესაფერის გამოყენებას ჰპოვებს. კანადაში მოწყობილმა ცდებმა აჩვენა, რომ, თუ ღორის სალაფავში თამბაქოს გავურევთ, მნიშვნელოვნად გაიზრდება ღორის ხორცის ხარისხი: ნიკოტინი 2-5 პროცენტით ზრდის საკვების ეფექტურობას და 5-17 პროცენტით ცვლის ქონთან მჭლე ხორცის წონით შეფარდებას.



## რადიოფონი

რადიოფონი — მოსკოველმა ინჟინერმა ლეონიდ კუპრიანოვიჩმა გამოიგონა. ეს აპარატი, ალბათ, ყველა მოგზაურის მუდმივი თანამგზავრი იქნება.

აკრიფავ თუ არა რადიოფონზე, რომელიმე ქალაქის ტელეფონის ნომერს, რადიოფონი მას რადიოსიგნალების სახით გზავნის ეთერში. ამ სიგნალებს იჭერს ავტომატური სატელეფონო რადიოსადგური და ჩვეულებრივ ავტომატურ სატელეფონო სადგურს გადასცემს. ეს უკანასკნელი კი შენთვის საჭირო აბონენტთან შეგაერთებს;

თუ ისეთ ვინმესთან გინდა ლაპარაკი, ვისაც რადიოფონი აქვს, ავტომატური სატელეფონო სადგურის დახმარება არ დაგჭირდება, უშუალოდ დაუკავშირდები აბონენტს.

რადიოფონს — ამ საბჭოთა გამოგონებას — ყველა ქვეყნის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

## მხოლოდ ციფრები

მე-18 საუკუნის გამოჩენილმა შვედმა მეცნიერმა კარლ ლინეიმ პირველმა მოახდინა იმ დროისათვის ცნობილი მწერების სახეობათა კლასიფიკაცია. იმხანად მეცნიერებისათვის ჭიანჭველების 17 სახეობა იყო ცნობილი.

მას შემდეგ, ორი საუკუნის მანძილზე, უსაზღვროდ გაფართოვდა ადამიანის ცოდნა ამ მიმართულებით. საკმარისია ითქვას, რომ მეცნიერები ამჟამად ჭიანჭველების 15 ათას სახეობას ითვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

1) რომელი არქიტექტურული ძეგლია ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი და სად მდებარეობს იგი?

2) რომელ საუკუნეშია აგებული ეს ძეგლი და რა იცით მის შესახებ?

3) ვინ ითვლება ამ ძეგლის ხუროთმოძღვრად?

4) რომელმა მწერალმა მიუძღვნა მას ვრცელი ლიტერატურული ნაწარმოები და რა ჰქვია მას?



## პასუხი 1966 წლის № 3-„პიონერში" მოთავსებულ კითხვებზე

ჩვენი ჟურნალის მესამე ნომრის განყოფილებაში „იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს" დაიბეჭდა ფოტოსურათი კითხვებით. ამჯერად ვბეჭდავთ ამ კითხვების პასუხს.

ფოტოსურათზე აღბეჭდილია თბილისში, მტკვარზე გადაჭიმული ახალი ხიდი. იგი ბარათაშვილის სახელს ატარებს და ქალაქის ორ უბანს, — ისანსა და კოლმეურნეობის მოედანს აკავშირებს ერთმანეთთან. ასეთი კონსტრუქციის ხიდი პირველია მთელ საბჭოთა კავშირში. იგი ორსართულიანია. ფეხით მოსიარულეებს შეუძლიათ ორივე სართულზე იარონ. ხიდის მარცხენა ბოლოში, პირველ სართულზე მოთავსებულია კაფესასაუზმე, მარჯვენა მხარეს კი სულ მალე გაიხსნება საგალანტერეიო მაღაზია. ხიდი სამმალიანია და შედგება წინასწარ დაძაბული ანაწყობი კოჭებისაგან, რომელთა საერთო წონა 3.600 ტონას უდრის. ამ ადგილზე არსებული ძველი ხიდის სიგანე 11 მეტრს უდრიდა და სიგრძით 88 მეტრს აღწევდა, ახალი ხიდის სიგანე კი 27 მეტრია და სიგრძით 2,5-ჯერ მეტია ძველთან შედარებით.

ხიდის მშენებლობა დაიწყო 1963 წელს და 1965 წლის ნოემბრისათვის დამთავრდა.

ამ ხიდის პროექტის ავტორები არიან რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, კონსტრუქტორი გიორგი ქარცივაძე, არქიტექტორები შოთა ყავლაშვილი და ვლადიმერ ქურთიშვილი.

სწორი პასუხები გამოგზავნეს: ბათუმის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლე **ბეხიკ ბარაბაძემ**, ზესტაფონის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლემ **თემურ კაპანაძემ**, კასპის რაიონის სოფ. კავთისხევის საშ. სკოლის მოსწავლემ **ნუნუ ბიჭიკაშვილმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ადამიწლის ხეები

ყველაზე ხნიერი და მსხვილი ხეები აფრიკაშია—ტანგანიკაში. იქ არის ბაობაბის ხე, რომელიც ხუთიათასი წლისაა, მისი სიმაღლე 22 მეტრია, ტანის გარშემოწერილობა — 47 მეტრი.

ინდოეთში ხარობს ბანანი, რომლის ხნოვანება 8000 წელს აღწევს, მას 8000 მსხვილი და ამდენივე მცირე ტანი აქვს. ამ ბანანის ქვეშ, რომლის სიმაღლე 60 მეტრია, 7000 კაცი მოთავსდება.

სიცილიაში კლდეებზე ამოსულა წაბლი, რომელიც 2000 წლისაა, მისი ტანის გარშემოწერილობა 20 მეტრია.

ინგლისში, კენტის საგრაფოში, ხარობს 8000 წლის ურთხმელა.

## ყვავილები ერთმანეთს ებრძვიან

ზოგიერთი ყვავილი ვერ იტანს მეორე ყვავილის მეზობლობას, მათ შორის „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ იმართება.

ყვავილთა მეფე ვარდი, რეზედასთან ერთად თუ მოხვდა ლარნაკში, რეზედას ნახევარ საათში ჰკლავს.

რეზედა ლეროებიდან შხამიან წვეთებს გამოჰყოფს და თავის გვერდით „სამარეს უთხრის“ ყვავილთა მეფესაც.

## უცნაურობა

ერთი გერმანელი მეცნიერი, რომელიც აფრიკის სანაპიროს ცხოველთა სამყაროს სწავლობდა, განცვიფრებული დარჩა უცნაური „ზღარბის“ აღმოჩენით.

დაკვირვების დროს ეს „ზღარბი“ დაიშალა „ნემსებად“, ხოლო თითოეული „ნემსი“ იქცა ზღვის ლოქოდ.

გერმანელი მკვლევარი დაკვირვებას განაგრძობდა... ამ დროს გამოჩნდა ვეებერთელა მტაცებელი თევზი, პატარა ლოქოებმა ელვის სისწრაფით გააკეთეს გორგალი, რომელშიც შეჰყვეს თავები, ხოლო ეკლიანი კუდებით ნამდვილ ზღარბს დაემსგავსნენ და უვნებელნი გადარჩნენ.

## ფუტკრის საწველი ხელსაწყო

ცნობილია, რომ ფუტკრის შხამი სამკურნალო საშუალებაა, მაგრამ ეს შხამი რომ მივიღოთ, მისი მომცემი ფუტკარი უნდა მოკვდეს.

ფუტკარს ადამიანისათვის ყველა მწერზე მეტი სარგებლობა მოაქვს.

როგორც ვთქვით, ფუტკრის შხამი წამალია, მაგრამ მისი მიღება ისე უნდა შევძლოთ, რომ ფუტკარი არ მოკვდეს.

ამერიკაში, მონტანის შტატის საუნივერსიტეტო კოლეჯში გამოიგონეს ფუტკრის შხამის ელექტროსაწველი, რომლითაც ფუტკრისაგან შხამებს ღებულობენ ფუტკრის დაუზიანებლად, ამავე დროს ეს აპარატი ხელს არ უშლის თაფლისა და ცვილის მიღებას.

## საოცარი მცენარე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფოთოლი ჩვენი ხეებისა და ბუჩქების უმრავლესობას შემოდგომაზე სცვივა.

ზოგიერთი კი, როგორიცაა ფიჭვი, სოჭი, რამდენიმე წელს ინარჩუნებს მწვანე საბურველს და ჩამოცვენილთა ნაცვლად თანდათან ახალს ამოიყრის. ასე გრძელდება 27 წლამდე. ამდენად ფოთლის სიცოცხლე მაინც ხანმოკლეა, ვიდრე თვით — ხე-ბუჩქებისა.

მაგრამ არის ერთი იშვიათი გამონაკლისიც... როცა მცენარეზე ფოთოლი იმდენხანს ძლებს, რამდენსაც თვით მცენარე.

ეს საოცარი მცენარე აფრიკაში ხარობს.

ამ მცენარეს აქვს ორად-ორი ფოთოლი. მცენარე დიდხანს — ერთ საუკუნეს ცოცხლობს. ამდენხანსვე ცოცხლობს მისი ფოთლებიც.

## სარჩევი


**ი. მიქელაძე** — საქართველო ახალ ხუთწლედში (წერილი) . . 2
**გ. გიგაური** — პატარა ხელებით დიდი საქმეები (ნარკვევი)...3
**ლ. მეგრელიძე** — თქვენთან ერთად (ლექსი) . . . . 5
**ე. კვიტაიშვილი** — მშობლიურ კუთხეში (ლექსი) . . 6
ოქროს საწმისი — . . 8
**გ. კარტოზია** — „ვეფხისტყაოსნის“ ენა (წერილი) . . 9
**გ. კაჭახიძე** — შოთა რუსთაველი (ლექსი) . . . . . . 11
**ნ. ზოდელავა** — ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე . . . . . . . 13
პიონერული კაბადონი — . . . . . . 15
**ფ. ბერიძე** — სიმონ ჩიქოვანი (წერილი) . . . . . . 20
**ნ. კოჭლაშვილი** — ჰასანი (ნამდვილი ამბავი) . . . . . 21
**ვ. ბახტაძე** — საუბარი მულტიპლიკაციაზე . . . . . . 22
ჰკუის გამოცდა (ინდური ზღაპარი) თარგმნეს ბ. ნახუცრიშვილმა და თ. სვინტიძემ . . . . . . 25
თავშესაქცევი — . . . 27
სახალისო ფიზიკა — . 27
ახალი წიგნები — . . 28
გამოცანები . . . . 29
უცხოური იუმორი . 29
ჯადოსნური სარკე . 30
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს . . . 31
ბუნების კარი . . . 32


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — **ზურაბ მეძმარიაშვილისა.**


მთავარი რედაქტორი **ბაბულია შელია.**

სარედაქციო კოლეგია: **ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის—5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03055 ტირ. 41.060. ბირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 22/V-66 წ. სტამბის შეკვ. 1551. გამომც. შეკვ. 159. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნება.



# ნორჩი მოქანდაკე



შიმშილი.

ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქანდაკების წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობენ მოქანდაკეები მერი სარაული და ზაქარია კრაწაშვილი. წრის წევრთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლე **ლევან ვარდოსანიძე.**

პატარა ლევანის სკულპტურული ნამუშევრები გამოირჩევიან საინტერესო გააზრებითა და კომპოზიციური გადაწყვეტით, მეტყველი ხასიათებით, მოძრაობის შესანიშნავი გამოხატვით...

ვაქვეყნებთ ლევან ვარდოსანიძის რამდენიმე ნამუშევრის ფოტორეპროდუქციებს.



მგელთან შეხვედრა.



ხართან ბრძოლა.



მონადირე.



მხედარი.

0 44116 2

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა



დარბაზი.

ვლადიმერ ჩოფიკაშვილი,
126-ე სკოლა, VII კლასი.



ნატურმორტი.

გია სალუქვაძე,
126-ე საშ. სკოლა, VIII კლასი.



გოგონა ქოლგით.

დარეჯან მერკვილაძე,
მე-60 საშ. სკოლა, IV კლ



ჩემი სახლი

ზურაბ ველიძე,
7-წლის, თბილისი.